პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
გამოცემის 28-ე წელი

შაბათი, 20 მარტი, 1948 წ. № 57 (8101). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

— გავაძლიეროთ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა სოფლად — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ხელმოწერილია ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ (1-ლი გვერდი).
ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა (1-ლი გვერდი).
გ. დიმიტროვის სიტყვა (1-ლი გვერდი).
ფართოდ გავავრცელოთ მოწინავე მეჩაიეთა გამოცდილება! (მე-2 გვერდი).
სსრ კავშირისა და შვეიცარიის სავაჭრო ურთიერთობების შესახებ (მე-3 გვერდი).
საბჭოთა მთავრობის დელეგაცია უნგრეთიდან გამოემგზავრა (მე-3 გვერდი).
ლეო ქიაჩელი — ჯოტოს მამა (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

გავაძლიეროთ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა სოფლად

საკოლმეურნეო წყობილების დამკვიდრებამ სოფლად შექმნა პირობები საბჭოთა გლეხობის მატერიალურ-კულტურული დონის განუხრელი ამაღლებისათვის. არსებითად შეიცვალა ძველი სოფლის სახე, „მის ადგილას გამოვიდა ახალი სოფელი, მისი საზოგადოებრივ-სამეურნეო ნაგებობებით, მისი კლუბებით, რადიოთი, კინოთი, სკოლებით, ბიბლიოთეკებით და ბაგებით, მისი ტრაქტორებით, კომბაინებით, სალეწი მანქანებით, ავტომობილებით“ (სტალინი).

სახელმწიფო ინტერესთა ღრმა შეგნება, საბჭოთა წყობილებისადმი ერთგულება და თავდადებული შრომა სამშობლოს სასარგებლოდ — აი რა თვისებები გამოამჟღავნა ჩვენმა გლეხობამ სამამულო ომის დროს და ამჟამად ახალი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის ბრძოლაში.

ბოლშევიკების პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდი ღონისძიებანი განახორციელეს მასების პოლიტიკური შეგნებულობისა და კულტურული დონის ასამაღლებლად. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოფლის მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებას, სოფლად მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მიღწევათა პროპაგანდას. ჩვენ მივისწრაფვით იქითკენ, რომ სოფლის მოსახლეობისათვისაც ისეთივე ხელმისაწვდომი გახდეს კულტურის ყველა მიღწევა, როგორც ქალაქის მცხოვრებლებისათვის.

მასებში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერების დარგში დიდი ამოცანები ეკისრებათ პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს. პარტიული ორგანიზაცია მთავარი კულტურული ძალაა სოფლად. მის შემადგენლობაში შედიან კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანები, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. იგი აერთიანებს მთელ კულტურულ ძალებს და ხელმძღვანელობს კულტურულ-აღმზრდელობით მუშაობას, მასებში შეაქვს პოლიტიკური განათლება, ცოდნა, საბჭოთა კულტურა. მნიშვნელოვან კულტურულ ძალას წარმოადგენს აგრეთვე კომკავშირის ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია იყოს სოფლად ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო წამოწყების თაოსანი.

სოფლად კულტურის დონის განუხრელი ამაღლების ამოცანა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება წარმატებით გადაიჭრას, თუ პარტიული ორგანიზაცია ამ მნიშვნელოვან საქმეში ჩააბამს საბჭოთა ინტელიგენციის მრავალათასიან არმიას. საბჭოთა მასწავლებლებმა და კულტურის სხვა მუშაკებმა ფართო კულტურული მოღვაწეობა უნდა გააჩაღონ სოფლად. ლექციები და მოხსენებანი უნდა დამკვიდრდნენ სოფლის ცხოვრებაში. სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა უნდა იბრძოლონ იმისათვის, რომ ფართოდ დაინერგოს აგროტექნიკური მეცნიერების მიღწევანი.

იქ, სადაც პარტიული ორგანიზაცია პასუხისმგებლობით ეკიდება კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, თვალსაჩინო წარმატებები აქვთ. პარტიული ორგანიზაციის ყურადღებისა და მუდმივი დახმარების შედეგად კარგად მუშაობს მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის სასოფლო კლუბი. ამ კლუბის მუშაობაში მნიშვნელოვანი ის არის, რომ მას მჭიდრო კავშირი აქვს მასებთან, შემოკრებილი ჰყავს ინტელიგენციის საუკეთესო ძალები, თავის დროზე ეხმაურება პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს. კლუბში ხშირად იმართება საუბრები კულტურულ-საგანმანათლებლო და აგრონომიულ საკითხებზე. კლუბშივე მოწყობილია გამოფენა, რომელიც ასახავს კოლმეურნეთა შარშანდელ წარმატებებს და თვალნათლივ უჩვენებს მიმდინარე წლის ამოცანებს. მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წითელხევის ქოხ-სამკითხველოში მოწყობილია კარგი გამოფენა ახალი ხუთწლიანი გეგმის საკითხებზე. კოლმეურნეები აქ ეცნობიან ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ წარმატებებს. მუშაობა კარგად აქვთ დაყენებული გორის რაიონის სოფელ ახალუბნისა და თელავის რაიონის სოფელ ფშაველის სასოფლო კლუბებს.

პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს სოფლად გააჩნიათ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ისეთი საშუალებანი, როგორიცაა კლუბი, ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი, ქოხ-სამკითხველო. ბევრი ამ დაწესებულებათა შორის უყურადღებოდაა მიტოვებული და ჯერ კიდევ ვერ ასრულებს თავის ამოცანას, შემოკრებილი არა ჰყავს ინტელიგენცია, ვერ იყენებს ახალგაზრდების თაოსნობას კულტურული მუშაობის გასაჩაღებლად. თიანეთის რაიონის სოფელ ტუშურებისა და სიმონიანთხევის სასოფლო კლუბებში სუსტად მუშაობენ საგნობრივი და მხატვრული თვითმოქმედი წრეები, იშვიათად იმართება საუბრები, მოხსენებები და ლექციები, არ ეწყობა საღამო-წარმოდგენები. თელავისა და ცხაკაიას რაიონებში კულტურის სახლების მუშაობას ის აფერხებს, რომ მათი შენობების ნაწილი სხვა ორგანიზაციებს აქვთ დაკავებული. ამ მდგომარეობის გამოსწორება ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა.

ამჟამად კოლმეურნეთა წინაშე დგას დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — წარმატებით ჩაატარონ საგაზაფხულო თესვა, 1948 წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი მოიყვანონ, უზრუნველჰყონ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა. ამ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში დიდი მოვალეობა აკისრიათ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებს. მათ უნდა მიაღწიონ სოფლის მოსახლეობის კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, იბრძოლონ იმისათვის, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლამ უზრუნველჰყოს კოლმეურნეთა სამეურნეო წარმატება.

ადგილებზე კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ხელმძღვანელობს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების რაიონულ აღმასკომებთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილებები. ისინი მოწოდებული არიან პრაქტიკულად დაეხმარონ სასოფლო კლუბებს, კულტურის სახლებს, ქოხ-სამკითხველოებსა და ბიბლიოთეკებს, დარაზმონ აქტივი, დასახონ ღონისძიებანი თვითმოქმედი წრეების მუშაობის გასაუმჯობესებლად, გულდასმით შეარჩიონ კადრები კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამუშაოდ.

თავის მრავალმხრივ მოღვაწეობაში ხალხის კომუნისტური შეგნებულობის ასამაღლებლად პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სოფლის ინტელიგენციამ ფართოდ უნდა გამოიყენონ პრესა — გაზეთები, წიგნები, ჟურნალები, ყოველდღიურად გაუწიონ პოპულარიზაცია ხალხში ბოლშევიკური პარტიის იდეებს, მის მეცნიერულ მსოფლმხედველობას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სისტემატურად იკითხებოდეს ლექციები და მოხსენებები კოლმეურნეთათვის, იმართებოდეს საუბრები სხვადასხვა საინტერესო თემებზე, ეწყობოდეს საღამო-წარმოდგენები, კულტურული გართობა. ეს ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ მასების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, მეოთხე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის დიად ამოცანათა წარმატებით შესრულებას.

გავაძლიეროთ კლუბების, კულტურის სახლების, ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების, თვითმოქმედი წრეების მუშაობა, მთელი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა სოფლად — ასეთია ამოცანა.

საბჭოთა დესპანმა უნგრეთში დარბაზობა გაუმართა საბჭოთა დელეგაციას

ბუდაპეშტი, 18 მარტი. (საკდეს). გუშინ საღამოს სსრ კავშირის დესპანმა უნგრეთში გ. მ. პუშკინმა დარბაზობა გაუმართა საბჭოთა მთავრობის დელეგაციას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის საბჭოთა კავშირის მარშლის კ. ე. ვოროშილოვის მეთაურობით, რომელიც დაესწრო უნგრეთის 1848 წლის რევოლუციის ასი წლისთავის დღესასწაულს.

დარბაზობას დაესწრნენ: უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ზოლტან ტილდი, პარლამენტის თავმჯდომარე იმრე ნაგი, პრემიერ-მინისტრი ლაიოშ დინიეში, მისი მოადგილენი მატიას რაკოში და არპად საკაშიჩი, მინისტრები, პარტიებისა და პროფკავშირების ლიდერები, უნგრეთის საზოგადოებრივი, კულტურული და მეცნიერული ცხოვრების გამოჩენილი მოღვაწენი, აგრეთვე ბუდაპეშტში აკრედიტებულ უცხოეთის მისიათა მეთაურები და თანამშრომლები.

დარბაზობამ გულთბილ მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

ზუგდიდის ჩაის საწნეხი ფაბრიკის კოლექტივის წარმატება

ზუგდიდის ჩარკვიანის სახელობის ჩაის საწნეხი ფაბრიკის კოლექტივმა 10 მარტისათვის 101,6 პროცენტით შეასრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების კვარტალური გეგმა. პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 2 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 12 პროცენტით, დიდი რაოდენობით დაზოგილია საწვავი და ელექტროენერგია. ახალი სამეურნეო წლის განვლილ პერიოდში დაგროვება 100 ათას მანეთს უდრის.

ხელმოწერილია ხელშეკრულება

საბჭოთა კავშირსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ

უკანასკნელი დღეების განმავლობაში მოსკოვში მოლაპარაკება სწარმოებდა, ერთი მხრივ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ი. ბ. სტალინსა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ვ. მ. მოლოტოვსა და, მეორე მხრივ, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ გ. დიმიტროვსა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესა და საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ვ. კოლაროვსა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს ბ-ნ ტ. კოსტოვსა, კ. გეორგიევსა, გ. პოპოვსა, ვაჭრობის მინისტრ ბ-ნ კ. დობრევსა და კეთილმოწყობისა და კომუნალური მეურნეობის მინისტრ ბ-ნ პ. კამენოვს შორის საბჭოთა კავშირსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადებაზე. ამ მოლაპარაკებამ, რომელიც გულითადობისა და მეგობრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, დაადასტურა ორივე ქვეყნის მისწრაფება ყოველმხრივ განამტკიცონ და განავითარონ მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა ერთმანეთს შორის, აგრეთვე სურვილი ითანამშრომლონ საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით.

მოლაპარაკება დამთავრდა 18 მარტს კრემლში საბჭოთა კავშირსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერით.

ხელშეკრულებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რწმუნებით ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო კრების პრეზიდიუმის რწმუნებით ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დიმიტროვმა.

ხელშეკრულების ხელმოწერას დაესწრო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინი.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მხრივ ხელშეკრულების ხელმოწერას დაესწრნენ: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. კოლაროვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ტ. კოსტოვი, კ. გეორგიევი, გ. პოპოვი, ვაჭრობის მინისტრი კ. დობრევი, კეთილმოწყობისა და კომუნალური მეურნეობის მინისტრი პ. კამენოვი, დიდი სახალხო კრების პრეზიდიუმის წევრები: რ. ანგელოვი, ა. მირჩევი, დესპანი სსრ კავშირში ნ. ნიკოლოვი, ბ-ნები პ. ვუტოვი, ც. ბანჩევი, ს. კოლევი და სხვები.

საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელშეკრულებო-სამართლის სამმართველოს უფროსი ს. ა. გოლუნსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბალკანეთის ქვეყნების განყოფილების გამგის მოვალეობის აღმსრულებელი ს. პ. კირსანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი და სხვები.

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ვ. მ. მოლოტოვმა და გ. დიმიტროვმა ერთმანეთს სიტყვებით მიმართეს.

ქვემოთ მოგვყავს ხელშეკრულების ტექსტი.

ხელშეკრულება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო კრების პრეზიდიუმმა,

რომლებიც მიზნად ისახავენ სსრ კავშირსა და ბულგარეთს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას,

დარწმუნებული არიან, რომ მეგობრობის განმტკიცება საბჭოთა კავშირსა და ბულგარეთს შორის შეესაბამება ორივე სახელმწიფოს ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს და საუკეთესოდ შეუწყობს ხელს მათს ეკონომიურ განვითარებას,

გამსჭვალულნი არიან სურვილით ითანამშრომლონ ურთიერთ შორის საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად,

გადასწყვიტეს ამ მიზნით დასდონ ეს ხელშეკრულება და თავის რწმუნებულებად დანიშნეს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა—ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი;

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო კრების პრეზიდიუმმა—გიორგი **დიმიტროვი,** ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე,

რომლებიც, თავიანთ რწმუნებათა გაცვლის შემდეგ, რაც სათანადო ფორმით შედგენილი და სრულ წესრიგში აღმოჩნდა, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ ერთად მიიღონ მათს განკარგულებაში არსებული ყველა ღონისძიება, რათა თავიდან აიცილონ ყოველი საფრთხე აგრესიის გამეორებისა გერმანიის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს მხრივ, რომელიც გერმანიასთან უშუალოდ ან რაიმე სხვა ფორმით გაერთიანდებოდა.

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები აცხადებენ თავიანთ განზრახვას უაღრესად გულწრფელად მიიღონ მონაწილეობა ყველა საერთაშორისო მოქმედებაში, რომელიც მიმართული იქნება მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად, და მთლიანად შეიტანონ თავიანთი წვლილი ამ დიადი ამოცანების განხორციელების საქმეში.

მუხლი 2

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მაღალი მხარე ჩაბმული აღმოჩნდება საომარ მოქმედებაში გერმანიასთან, რომელიც შეეცდებოდა განეახლებინა თავისი აგრესიული პოლიტიკა, ან რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან, რომელიც უშუალოდ ან რაიმე სხვა ფორმით გაერთიანდებოდა გერმანიასთან აგრესიის პოლიტიკაში, ხელშეკრულების დამდები მეორე მაღალი მხარე დაუყოვნებლივ აღმოუჩენს საომარ მოქმედებაში ჩაბმულ ხელშეკრულების დამდებ მხარეს სამხედრო და ყოველგვარ სხვა დახმარებას მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით.

ამ ხელშეკრულების განხორციელება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების შესაბამისად მოხდება.

მუხლი 3

ხელშეკრულების დამდები თვითეული მაღალი მხარე ვალდებულებას კისრულობს არ დასდოს რაიმე კავშირი და არ მიიღოს მონაწილეობა რომელიმე კოალიციაში, აგრეთვე მოქმედებასა ან ღონისძიებებში, რომლებიც ხელშეკრულების დამდები მეორე მაღალი მხარის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

მუხლი 4

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ერთმანეთს მოეთათბირებიან ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხის შესახებ, რომელიც ორივე ქვეყნის ინტერესებს ეხება.

მუხლი 5

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები აცხადებენ, რომ ისინი განავითარებენ და განამტკიცებენ ეკონომიურსა და კულტურულ კავშირს ორივე სახელმწიფოს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხულისკვეთებით, დაიცავენ მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისადმი ურთიერთპატივისცემისა და მეორე სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს.

მუხლი 6

ეს ხელშეკრულება ძალაში იქნება ოცი წლის განმავლობაში მისი ხელმოწერის დღიდან. თუ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მაღალი მხარე ამ ოცი წლის პერიოდის დამლევს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე არ განაცხადებს, რომ სურს უარი სთქვას ხელშეკრულებაზე, იგი ძალაში დარჩება შემდეგი ხუთი წლით, და ასე იქნება ყოველთვის, მანამდე, სანამ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მაღალი მხარე მიმდინარე ხუთი წლის გასვლამდე ერთი წლით ადრე წერილობით არ განაცხადებს, რომ განზრახვა აქვს შესწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და რატიფიცირებულ უნდა იქნას რაც შეიძლება მოკლე ვადაში. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდება სოფიას უახლოეს დროში.

რის დასადასტურებლადაც რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებას და თავიანთი ბეჭდები დაასვეს.

შედგენილია მოსკოვში, 1948 წლის 18 მარტს, ორ ცალად თვითეული რუსულ და ბულგარულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რწმუნებით
ვ. მოლოტოვი

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო კრების პრეზიდიუმის რწმუნებით
გ. დიმიტროვი

ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

ბატონო პრემიერ-მინისტრო, ბატონებო!

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ხელშეკრულებამ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რაც ხელმოწერილია დღეს, განამტკიცა სსრ კავშირისა და ბულგარეთის მეგობრული ურთიერთობა, რომელიც მტკიცედ ჩამოყალიბდა უკანასკნელ წლებში და რომელსაც ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ეს ხელშეკრულება დამყარებულია სახელმწიფო დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპების პატივისცემაზე და ემსახურება ევროპაში დემოკრატიული მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეს.

ეს ხელშეკრულება მიმართულია იმისაკენ, რომ არ დაუშვას გერმანიის აგრესიის განმეორება, რომელმაც უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში ორჯერ დაარღვია მშვიდობა ხალხთა შორის და გააჩაღა ორი მსოფლიო ომი. გასაგებია, რომ საბჭოთა კავშირი, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა ფაშისტური აგრესიის უდიდესი სიმძიმე, განსაკუთრებული კმაყოფილებით ეგებება იმპერიალისტური აგრესიის შესაძლო ახალი ცდების თავიდან აცილებასა და წინააღმდეგობისათვის მომზადების გზაზე გადადგმულ ყოველ ახალ ნაბიჯს.

ამასთან ერთად, ჩვენი ქვეყნების მთავრობები დღეს ახალი ძალით აცხადებენ, რომ ისწრაფვიან ყოველმხრივ განავითარონ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს ხალხებს შორის, განამტკიცონ მათი ეკონომიური და კულტურული კავშირი. მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების ყველა გულწრფელ მომხრეს შეუძლია მხოლოდ მიესალმოს ასეთ ხელშეკრულებას.

ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რათა მოძმე ბულგარელ ხალხს ვუსურვო ყოველგვარი წარმატება ახალი დემოკრატიული ბულგარეთის მშენებლობაში. ლენინურ-სტალინური პოლიტიკის პრინციპების ერთგული საბჭოთა კავშირი მუდმივ დახმარებას უწევდა და კვლავაც გაუწევს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ურღვევ კავშირსა და მეგობრობას!

ნება მიბოძეთ, ბ-ნო პრემიერ-მინისტრო, მოგილოცოთ საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ისტორიული ხელშეკრულების ხელმოწერა.

გ. დიმიტროვის სიტყვა

ეს-ეს არის ხელმოწერილი ხელშეკრულება ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ საბოლოოდ განამტკიცებს ბულგარელი ხალხის ისტორიულ ძმურ კავშირს დიდ რუს ხალხთან და საბჭოთა კავშირის დანარჩენ ხალხებთან.

ეს ხელშეკრულება სავსებით შეესაბამება ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს და გამოხატავს მის სანუკვარ სურვილებს.

ხელშეკრულების დადგენილებათა განხორციელება უფრო მეტ რწმენას მიანიჭებს ჩვენს ხალხს მისი საქმის სამართლიანობისადმი და გაარკვევს მის შემოქმედებითს ღონისძიებებს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, როგორც ბალკანეთში დემოკრატიისა და მშვიდობის საღი ელემენტის, მშენებლობის და სოციალიზმის გზით მისი ყოველმხრივი განვითარების საქმეში.

დადებული ხელშეკრულება უეჭველად არის ახალი ძვირფასი წვლილი საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საერთო ღონისძიებებში, რომლებიც მიმართულია მტკიცე მშვიდობისა და ნორმალური საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარებისაკენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების საფუძველზე.

ჩემს განსაკუთრებულ სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია ამ შემთხვევის გამო ბულგარელი ხალხისა და მისი მთავრობის სახელით უაღრესად მხურვალე მადლობა გამოვუცხადო საბჭოთა მთავრობას და მის დიდ თავმჯდომარეს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს ყოველივე იმისათვის, რაც მათ გააკეთეს ამ ხელშეკრულების დასადებად, რომელიც ახალ ნათელ პერსპექტივებს ჰქმნის ძმური ურთიერთობის განსავითარებლად ჩვენს ხალხებსა და ჩვენს ქვეყნებს შორის.

ფართოდ გავავრცელოთ მოწინავე მევენახეთა გამოცდილება!

თათბირი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ყურძნის მოსავლიანობის გადიდების საკითხზე

15 მარტს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის თავმჯდომარეობით შედგა რესპუბლიკური თათბირი ყურძნის მოსავლიანობის გადიდების საკითხზე. თათბირს დაესწრნენ მევენახეობის რაიონების პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებათა გამგეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, მევენახე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები, მერგოლეები, სტახანოველი კოლმეურნეები და მევენახეობის დარგის სპეციალისტები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა **ზ. ნ. ჩხუბიანიშვილმა, ა. ე. თოფურიძემ, პ. ა. შარიამ, ზ. ნ. კეცხოველმა, ვ. ბ. გოგუამ, ვ. მ. ბაქრაძემ, ა. ნ. რაფავამ, ს. მ. იშხანოვმა** და სხვ.

თათბირზე მოხსენებით „ვაზის კულტურის მოსავლიანობის გადიდების ამოცანები“ გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე ამხ. **ს. მ. ჭელიძე**.

ამხ. ჭელიძემ აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგი, როგორიცაა მევენახეობა, რომელიც პირველი იმპერიალისტური ომისა და მენშევიკების ბატონობის წლებში კატასტროფიულად დაეცა, საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აღორძინდა. ხალხთა ბელადის დიდი სტალინის ინიციატივით მიღებულმა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 28 ივლისის და 1940 წლის 25 აპრილის ისტორიულმა დადგენილებებმა დიდი როლი შეასრულეს მევენახეობისა და მეღვინეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში. მევენახეობისა და ხარისხობრივი მეღვინეობის განვითარებაში დიდი დამსახურება მიუძღვის ქართველი ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ **ლ. პ. ბერიას**, რომლის გულისხმიერი მზრუნველობისა და დაუღალავი მუშაობის შედეგად მევენახეობა საქართველოს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისა და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს მევენახეობის განვითარებისათვის. მაგრამ დიდი სამამულო ომის პერიოდში მევენახეობას მოაკლდა მუშახელი, შესაწამლი მასალები და აპარატურა. ამის გამო ვენახების ნაწილი დაზიანდა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის ისტორიული დადგენილების საფუძველზე საქართველოში ვენახების მოვლა-პატრონობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. საქართველოს მშრომელებმა სოფლის მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის მევენახეობაშიც, წარმატებით შეასრულეს დიდი სტალინისათვის გაგზავნილ წერილით ნაკისრი ვალდებულებანი. შარშან სახელმწიფოს ჩაბარდა 33.007,9 ტონა ყურძენი, გეგმა შესრულებულია 100,9 პროცენტით. ყურძნის დამზადების გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს ზესტაფონის, გურჯაანის, თელავის, ყვარლის, ბოლნისის, მაიაკოვსკის, ვანის, ამბროლაურის, ცაგერის, ორჯონიკიძის რაიონებმა. ახალი ვენახების გაშენების გეგმა შესრულებულია 131 პროცენტით, ამერიკული ვაზის სადედის გაშენებისა — 102 პროცენტით, ვაზის ნარგავების რემონტისა — 100,2 პროცენტით.

ამხ. ჭელიძე დაწვრილებით ლაპარაკობს იმ მოწინავე რაიონებსა, კოლმეურნეობებსა, ბრიგადებსა და რგოლებზე, რომლებმაც საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების მიღწევათა გამოყენებით, შრომის სწორი ორგანიზაციით და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით ყურძნის უხვი მოსავალი მოიყვანეს. მაგალითად, ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 4.000 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანეს საშუალოდ 54,6 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 45 ცენტნერისა. მაიაკოვსკის რაიონში კოლმეურნეობებმა საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიიღეს 34 ცენტნერი ყურძენი, ვანის რაიონში — 34 ცენტნერი, ცაგერის რაიონში — 50 ცენტნერი, ამბროლაურის რაიონში — 41,6 ცენტნერი, ორჯონიკიძის რაიონში — 36,2 ცენტნერი. ზესტაფონის რაიონის ლ. ბერიას სახელობის არგვეთის საბჭოთა მეურნეობამ 44 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 62,6 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ხოლო 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 143 ცენტნერი. გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ 40 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 42 ცენტნერი ყურძენი მიიღო. თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ ბრიგადირმა სიკო ბლუაშვილმა 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 62 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 45 ცენტნერისა. ყვარლის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეურმა ილია იმნაძემ 3,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 72 ცენტნერი ყურძენი. ასეთი მაგალითები მრავალია. მოწინავეთა ეს მდიდარი გამოცდილება,—ამბობს ამხ. ჭელიძე, — ცხადჰყოფს, თუ რა დიდი შესაძლებლობანი მოეპოვებათ ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყურძნის მოსავლიანობის ასამაღლებლად. საჭიროა ფართოდ გავავრცელოთ მოწინავეთა გამოცდილება, წელსვე მივაღწიოთ ყურძნის მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლებას.

ამხ. ჭელიძემ აღნიშნა ის სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებსაც ჯერ კიდევ ვხვდებით მევენახეობაში. საერთოდ რესპუბლიკაში ყურძნის მოსავლიანობა დაბალია. წინასწარი მონაცემებით 1947 წელს კოლმეურნეობებში მიღებულია საშუალოდ ერთ ჰექტარზე 24,5 ცენტნერი ყურძენი. ისე როგორც წინა წლებში, შარშანაც ყურძნის განსაკუთრებით დაბალი მოსავალი მიიღეს ახმეტის, მცხეთის, გარდაბნის, გორის და ქარელის რაიონებმა. ზემოაღნიშნულ რაიონებში ყურძნის მოსავლიანობის შემცირების მიზეზია, — აღნიშნავს ამხ. ჭელიძე, — ის, რომ ვენახებს სათანადოდ არ უვლიან, მნიშვნელოვან სამუშაოებს დაგვიანებით ასრულებენ, დაწესებული არ არის მტკიცე კონტროლი ვენახის სამუშაოთა ხარისხისადმი, გამოყოფილი არ არიან მევენახეობის სპეციალური ბრიგადები, ბრიგადებში რგოლების მუშაობა მოუწყობელია და ვენახები დასამუშავებლად კოლმეურნეთათვის არ არის მიჩენილი. დასახელებული რაიონების პარტიული ორგანიზაციები სუსტად იბრძვიან მევენახეობის განვითარებისათვის. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ჩამორჩენის სწრაფად გამოსწორების საჭიროებაზე.

ამხ. ჭელიძემ აღნიშნა, რომ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებიდან მოსავლის დაწესებული გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს მხოლოდ არგვეთის ბერიას სახელობის და ყვარლის საბჭოთა მეურნეობებმა. ძლიერ მცირე მოსავალი მიიღეს ნაფარეულის, ბოლნისის, მუხრანის, მუკუზნის, ვარციხის და გიაურარხის საბჭოთა მეურნეობებმა. ის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც მცირე მოსავალს იღებენ, მძიმე ტვირთად აწვებიან მოწინავე კოლმეურნეობებს, რადგანაც ამ უკანასკნელთ უხდებათ დამზადების გეგმის დანაკლისი თავიანთი მოსავლიდან შეავსონ. ამით ირღვევა კონტრაქტაციის წესი ჰექტარზე განსაზღვრული რაოდენობის ყურძნის ჩაბარებისა, რაც უარყოფითად მოქმედებს მევენახეობის განვითარებაზე.

ამხ. ჭელიძე ყურადღებას ამახვილებს ნიადაგის საუკეთესოდ დამუშავების საჭიროებაზე, დაწვრილებით ლაპარაკობს იმ დიდ ეფექტიანობაზე, რასაც მოსავლიანობის გადიდების საქმეში იძლევა მოწინავეთა მუშაობის მაგალითების მიხედვით ვაზის დამატებითი გამოკვება. ვენახების ნაკელით გაპატივება და ვეგეტაციის პერიოდში წუნწუხით გამოკვება ყურძნის მოსავლიანობის გადიდების დიდმნიშვნელოვანი პირობაა, — ამბობს მომხსენებელი. ეს ჩანს მოწინავე რაიონების მუშაობის მაგალითით. მართალია, მევენახეობის ძირითად რაიონებში ადგილობრივი ორგანული სასუქები (ნაკელი) საკმაო რაოდენობით არ არის, მაგრამ არსებულის გამოყენებაც არ ხდება სათანადოდ და ამის გამო დიდძალი ნაკელი იკარგება. საჭიროა ჯეროვნად მოვაწყოთ ადგილობრივი სასუქების გამოყენება.

ვაზის სწორად გასხვლაზე,—აღნიშნავს ამხ. ჭელიძე, — დიდად არის დამოკიდებული მოსავლიანობის ამაღლება. ვაზის ნორმალური ზრდა-განვითარებისა და ყოველწლიურად ყურძნის მაღალი მოსავლიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროა თვითეულ ძირ ვაზს მივუდგეთ ინდივიდუალურად და სხვლა ჩავატაროთ ვაზის სიძლიერისა და ჯიშის თავისებურების შესაბამისად. საქართველოში გავრცელებული ჯიშებისათვის სხვა ფორმებთან შედარებით ყველაზე უფრო მისაღებ ფორმად უნდა ჩაითვალოს ვაზის ორმხრივი ფორმირება.

საჭიროა უახლოეს დღეებში დავამთავროთ ვენახების შესარვა, ამასთან მივაღწიოთ იმას, რომ ვენახები მთლიანად შემოღობილი იყოს. დროულად უნდა ჩავატაროთ ისეთი მნიშვნელოვანი სამუშაოები, როგორიცაა ვენახების წამლობა და მწვანე ოპერაციები. კოლმეურნეობები შაბიამნით უზრუნველყოფილი არიან. მიუხედავად ამისა, ბევრგან წამლობას მხოლოდ 2-3-ჯერ ატარებენ. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ეს სრულებით არ კმარა. საჭიროა წამლობა ჩავატაროთ 4-5-ჯერ, დაწესებულ ვადებში, და სერიოზული ყურადღება მივაქციოთ გოგირდის შეფრქვევას.

ჩვენში ჯერ კიდევ დიდია ვენახების მეჩხერიანობა, რაც აფერხებს მოსავლიანობის გადიდების საქმეს. მეჩხერიანობის ლიკვიდაციისათვის საჭიროა ყველგან სრულდებოდეს რემონტის გეგმა. შარშან ვაზის რემონტის რესპუბლიკური გეგმა 100,8 პროცენტით შესრულდა. მიუხედავად ამისა, მცხეთის, კაჭრეთის, თეთრი წყაროს, ჩოხატაურის რაიონებმა, ყულარის, ბახვის, ალაიანისა და ვაჭევის საბჭოთა მეურნეობებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს აღნიშნული ღონისძიება და ვერ უზრუნველჰყვეს რემონტის გეგმის შესრულება. ვარციხისა და ბოლნისის საბჭოთა მეურნეობებს 1947 წელს ვენახების რემონტი სრულებით არ ჩაუტარებიათ. ვენახებში მეჩხერიანობის ლიკვიდაცია სხვა ღონისძიებათა გატარებასთან ერთად ყურძნის მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს.

ვაზის სადედე მეურნეობის მტკიცე ბაზის შექმნას სერიოზული მნიშვნელობა აქვს მევენახეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის. მაგრამ სადედე მეურნეობის მნიშვნელობას ჯეროვნად ყველგან როდი აფასებენ. 1947 წელს ვაზის სადედეებში ლერწის მცირე მოსავალი მიიღეს ყვარლის, გურჯაანის, თელავის, ჩხარის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, სიღნაღის რაიონებმა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ვაზის სადედეებს ცუდად უვლიან და ლერწის დაბალ მოსავალს იღებენ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები. ლერწის აჭრის გეგმა მხოლოდ წინანდლის საბჭოთა მეურნეობამ შეასრულა. ყველაზე მეტად ჩამორჩნენ მუკუზნის, გიაურარხის, ხირსის საბჭოთა მეურნეობები. საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს სადედეების მოვლა-დამუშავება და მიღწეულ იქნას ჰექტარზე საშუალოდ 30.000 ცალი სტანდარტული ლერწის მიღება. აუცილებელია ყველა რაიონმა და კოლმეურნეობამ უზრუნველჰყოს თავისი თავი საკუთარი ვაზის სანერგე მასალით.

მევენახეობის შემდგომი განვითარების საქმეში, — ამბობს ამხ. ჭელიძე, — დიდი მნიშვნელობა აქვს ვაზის სანერგე მეურნეობას. საჭიროა, ვაზის მყნობის გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს ყველა რაიონმა, კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ. უნდა მივაღწიოთ ნამყენის გახარების ზრდას. ეს სავსებით შესაძლებელია. ამას მოწმობს მოწინავე რაიონების გამოცდილება. თელავის რაიონის კოლმეურნეობებში 1947 წელს ნამყენიდან 37,3 პროცენტი სტანდარტული ვაზის ნერგი მიიღეს, ჩოხატაურის რაიონში — 45,7, საჩხერის რაიონში — 35,6, ორჯონიკიძის რაიონში — 35 და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 47,7 პროცენტი. მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა და სანერგეებში მომუშავე ცალკეულმა კოლმეურნეებმა უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიეს ნამყენის გახარების საქმეში. მაგალითად, ამბროლაურის რაიონის სოფელ ხვანჭკარის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ნამყენიდან 57 პროცენტი სტანდარტული ვაზის ნერგი მიიღო. თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ ვაზის სანერგის მომუშავემ მოსე კასრელიშვილმა 11.200 ცალი ნამყენი ვაზიდან 7.140 ცალი სტანდარტული ნამყენი ვაზის ნერგი მიიღო, რაც 63,9 პროცენტს შეადგენს. ვაზის მყნობა უკვე იწყება. საჭიროა მოწინავეთა გამოცდილების გამოყენების საფუძველზე სანიმუშოდ ჩავატაროთ მყნობა, მყნობელებად გამოვყოთ გამოცდილი კოლმეურნეები. თვითეულ მყნობელს უნდა მივცეთ განსაზღვრული დავალება, გამოვუყოთ და მივუჩინოთ სათანადო ნაკვეთები, რათა ისინი პასუხისმგებელი იყვნენ ვაზის გახარებისათვის. მუშაობის ასე მოწყობით შესაძლებელია წელს მივაღწიოთ ვაზის გახარების პროცენტის მნიშვნელოვან ზრდას.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე შრომის სწორ ორგანიზაციას. მევენახეობის მუდმივი ბრიგადები და რგოლები დროულად უნდა დავაკომპლექტოთ გამოცდილი კოლმეურნეებით. რგოლების შიგნით საჭიროა ფართოდ დავნერგოთ მუშაობის ინდივიდუალური სანარდო სისტემა და უზრუნველვყოთ შრომის დამატებითი ანაზღაურების კანონის განუხრელად განხორციელება.

ამხ. ჭელიძე ლაპარაკობს კოლმეურნეთა შრომითს აღმავლობაზე, რაც გამოიწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებამ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დიდი ჯგუფისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ. უეჭველია, კოლმეურნენი დიდი სტალინის მამობრივ მზრუნველობას უპასუხებენ ახალი შრომითი მამაცობით, ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას ყურძნის დაწესებული მოსავლიანობისა და დამზადების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა ამხ. **კიკნაძემ** თათბირს მოუთხრო იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა განხორციელების შედეგად კოლმეურნეებმა, საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციებმა შესძლეს 1947 წელს ყურძნის მოსავლიანობის გადიდება. მოწინავე კოლმეურნეობათა მაგალითით ჩანს, რომ ყურძნის მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დამატებით გამოკვებას. შარშან რაიონში დამატებითი კვება ჩატარდა 734 ჰექტარზე. კოლმეურნეობებმა ყურძნით 5 მილიონამდე შემოსავალი მიიღეს. კოლმეურნეობებში განმტკიცდა შრომის დისციპლინა, გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია — აი მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა. ამხ. კიკნაძემ განაცხადა, რომ წელს მევენახეობის სამუშაოები რაიონში შარშანდელზე უკეთესად მიმდინარეობს.

თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ თავმჯდომარემ ამხ. **კანაშვილმა** თათბირს მოუთხრო თავის გამოცდილებაზე. მან სთქვა: კოლმეურნეობას 140 ჰექტარი ვენახი აქვს გაშენებული. შარშან სახელმწიფოს 365 ტონა ყურძენი ჩავაბარეთ. ნიადაგს საუკეთესოდ ვამუშავებთ, მუდამ გაფხვიერებული გვაქვს. ვენახებში სასუქი ყოველწლიურად შეგვაქვს. უნდა ითქვას, რომ მოსავალს დიდად ზრდის ნიადაგში წუნწუხის შეტანა. შარშან ჩვენ ვაზი წუნწუხით გამოვკვებეთ. ჩემი დაკვირვებით წუნწუხი სულ მცირე 30 პროცენტით ზრდის მოსავლიანობას. ყველა სამუშაოს ვენახებში დროულად და მაღალხარისხოვნად ვასრულებთ. დიდ ყურადღებას ვაქცევთ ვაზის მყნობას. ჩვენთან ნამყენის გახარება 63 პროცენტს აღწევს. წელს გახარების სულ მცირე 70 პროცენტს მივაღწევთ. არასოდეს არც ერთ ძირ ვაზს არ ვტოვებთ შეუსარავს. ვენახები დაცულია პირუტყვისაგან. ვაზის გასხვლას და მწვანე ოპერაციებს (ვაზის გაფურჩქვნა, წვერების წაწყვეტა, ნამხრევების მოცლა და თავების გადაჭრა) სწორად, დროულად და დიდი დაკვირვებით ვახდენთ. გასხვლის დროს ვაზის დატვირთვა ხდებოდა ინდივიდუალური მიდგომით, ვაზის სიძლიერის მხედველობაში მიღებით. შარშან შაბიამნის ხსნარით შეწამვლა ჩავატარეთ ხუთჯერ, გოგირდის შეფრქვევა ორჯერ, ხოლო მწვანე ოპერაციები სამჯერ. ზაფხულის პერიოდში ვენახების მწკრივთა შორის დამუშავება ჩავატარეთ სამჯერ.

უხვი მოსავალი მიღწეულია არა მარტო აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარების, არამედ შრომის სწორი ორგანიზაციის შედეგადაც. სპეციალურმა ბრიგადებმა და რგოლებმა დიდად შეუწყეს ხელი ამ საქმეს. ბრიგადებსა და რგოლებში გაერთიანებულია გამოცდილი კოლმეურნეები. განსაკუთრებით კარგი შედეგი მოიტანა რგოლების შიგნით ვენახის ნაკვეთების დასამუშავებლად და მოსავლელად მიჩენამ ცალკეული კოლმეურნეებისათვის. ამან თვალსაჩინოდ გაზარდა კოლმეურნეთა პასუხისმგებლობა მაღალი მოსავლისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს კოლმეურნეთა სახელით ამ თათბირზე სიტყვას ვაძლევ, რომ 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე წელს მოვიყვანთ 70 ცენტნერ ყურძენს, ხოლო დანარჩენ ფართობზე მოვიყვანთ სულ მცირე გეგმით დაწესებულ მოსავალს.

გურჯაანის რაიონის სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილების აგრონომმა ამხ. **ჯოხაძემ** განაცხადა, რომ ვენახების დამუშავების გაუმჯობესების შედეგად შარშან რაიონმა წარმატებით შეასრულა ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმა. მაგრამ ყველა შესაძლებლობა არ არის გამოყენებული მოსავლიანობის ასამაღლებლად. არადამაკმაყოფილებელია ბრძოლა მეჩხერიანობასთან, ზოგიერთი კოლმეურნეობა მეჩხერიანობის ლიკვიდაციისათვის ნაკლებად ზრუნავს.

წინანდლის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ამხ. **ი. ჩარკვიანმა** განაცხადა, რომ მეურნეობის მთელი კოლექტივი ენერგიულად იბრძვის წელს ვენახის მოსავლიანობის გასადიდებლად. უკვე ჩატარებულია ვაზის გასხვლა, გადაწვენა, სასუქის შეტანა, შტამბის გასუფთავება. მეურნეობის წინაშე დიდი ამოცანებია დასახული: უნდა გაშენდეს 200 ჰექტარი ევროპული ახალი ჯიშის კაბერნეს ვაზი თელიანის სახელწოდებით. ამ ჯიშის ვაზი უკვე გაშენებულია 40 ჰექტარზე. დიდი მუშაობა სწარმოებს ნიადაგის გასაწმენდად. მექანიზაციის სამუშაოთა შემდგომი გაძლიერებისათვის ამხ. ი. ჩარკვიანმა დააყენა საკითხი, რათა საქართველოს სსრ საგემოვნო მრეწველობის სამინისტრომ და საქართველოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა მეტი დახმარება გაუწიონ მეურნეობას სათანადო მანქანების, კერძოდ საპლანტაჟე გუთნების მიწოდების საქმეში.

ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ამხ. **ჭულუხაძემ** თათბირს მოუთხრო, თუ რა ღონისძიებათა განხორციელებით იღებს ბრიგადა ყურძნის დიდ მოსავალს. მან განაცხადა: შარშან ჩვენმა ბრიგადამ 8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 105 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 ცენტნერისა. გასხვლის დროს ჩვენ ინდივიდუალურად მივუდექით თვითეულ ვაზს და დავტოვეთ კვირტების განსაზღვრული რაოდენობა. ორგანული სასუქი შევიტანეთ 327 ცენტნერი. ვენახში მოხარდვნა-მოხვევა ჩატარდა თავის დროზე. მზრუნველობით ჩავატარეთ მწვანე ოპერაციები, კერძოდ გაფურჩქვნა სამჯერ. მაისსა და ივნისის დამლევს ვაზის ძირებში ორჯერ შევიტანეთ წუნწუხი. ვენახები სამჯერ გავთოხნეთ. პინოს ჯიშის ვაზი 6-ჯერ შევწამლეთ, ხოლო დანარჩენი ჯიშები 5-ჯერ. ჩვენს ბრიგადაში შრომის დისციპლინა მაღალია. უმიზეზოდ შრომადღეების გაცდენის შემთხვევა არ ყოფილა. ჩვენი ბრიგადის ნაკვეთები მუდამ გასუფთავებულია სარეველებისაგან. ამნაირი გზით შამპანური ჯიშის — პინოს მოსავლიანობის გადიდებასაც მივაღწიეთ, სახელდობრ ერთ ჰექტარზე 60 ცენტნერი მოვიყვანეთ.

ახლა ბრიგადა იბრძვის მიმდინარე წელს მოსავლიანობის კიდევ უფრო გასადიდებლად. ვენახებში საზამთრო სამუშაოები სანიმუშოდ ჩავატარეთ, შევიტანეთ სასუქი, 4 ჰექტარი უკვე გავთოხნეთ. ვაზი საუკეთესოდ გამოიყურება. ვებმები სოციალისტურ შეჯიბრებაში 1948 წელს ყურძნის უხვი მოსავლისათვის და პირობას ვდებ, რომ წელს ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, 1947 წელთან შედარებით 25 პროცენტით მეტ ყურძენს მიიღებს.

გორის რაიონის მევენახე აგრონომმა ამხ. **დეკანოსიძემ** განაცხადა, რომ ვაზის ჯიშები—გორულა, ჩინური და სხვა კარგად ხარობენ და კოლმეურნეობებმა მათს გაშენებას მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ. ამასთანავე საჭიროა მზრუნველობით მოვეკიდოთ საძირეების სელექციის გაუმჯობესების საკითხებს, თვითეულ სადედეში უნდა ვიქონიოთ განსაზღვრული ჯიში. ამხ. დეკანოსიძემ აღნიშნა, რომ გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში არ ასწავლიან მევენახეობას, არ ასწავლიან მყნობას. რაიონში მევენახეობის განვითარების ინტერესები მოითხოვს მყნობელთა ახალი კადრების მომზადებას. მან დააყენა საკითხი, რომ ამ კადრების უშუალოდ კოლმეურნეობებში მომზადებასთან ერთად აუცილებელია მყნობის საქმეს ასწავლიდნენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმშიც.

საქართველოს კ. პ. (ბ) ახმეტის რაიკომის მდივანმა ამხ. **გელდიაშვილმა** თათბირზე აღიარა ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც რაიონს აქვს მევენახეობის დარგში. მან სთქვა, რომ თუ შარშან რაიონში ჰექტარზე საშუალოდ 13,2 ცენტნერი ყურძენია მიღებული, ამის მიზეზი ისიც არის, რომ კოლმეურნეობებში მევენახეობის ბრიგადები და რგოლები ფორმალურად იყო მოწყობილი, არ იყო დანერგილი ინდივიდუალური სანარდო სისტემა. ამის გამო ბევრგან ვენახებს არ ამუშავებდნენ ან ამუშავებდნენ დაგვიანებით და ისიც ზერელედ. ახლა ეს სერიოზული ნაკლი გამოსწორებულია. ვენახის სამუშაოები ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. წელს რაიონი ყოველ ღონეს იხმარს, რათა დავალება მევენახეობის დარგში მთლიანად შესრულდეს.

სტალინირის რაიონის სოფელ თამარაშენის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **დათაშვილმა** სთქვა: კოლმეურნეობა წლითიწლობით ყურძნის უხვ მოსავალს იღებს. შარშან ჰექტარზე 100 ცენტნერზე მეტი ყურძენი მივიღეთ. მთელ ვენახებს დროულად და კარგად ვამუშავებთ. ჩვენი ვენახები ისეა დაცული, რომ შიგ საქონელი ვერ შევა. მთელი ფართობი გასუფთავებულია სარეველა ბალახებისაგან. მწკრივებს შორის ვხნავთ ცხენით, ვაზის ძირებს ვბარავთ დაწესებულ ვადებში. ადგილობრივი სასუქი არ მოგვეპოვება საკმაო რაოდენობით. შარშან ჯავის რაიონიდან ჩამოვიტანეთ 160 ტონა ნაკელი და შევიტანეთ 6 ჰექტარ ვენახში. ჩვენ ვაზი ორტანად გავსხალით, ვაზს ორ მოპირდაპირე მხარეზე დავუტოვეთ თითო სამამულე და თითო სანაყოფე, რამაც საგრძნობლად გაზარდა ყურძნის მოსავლიანობა. ვენახის გადაყვანა შპალერზე (მავთულზე) კარგ შედეგს იძლევა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანმა ამხ. **საყვარელიძემ** განაცხადა, რომ შარშან ყურძნის უხვი მოსავლის მიღება შესაძლებელი გახდა ვენახებში წუნწუხის შეტანით, ვაზის მოვლის გაუმჯობესებით, შრომის სწორი ორგანიზაციით — ცალკეულ კოლმეურნეებზე ნაკვეთების მიჩენით. ამხ. საყვარელიძეს მოჰყავს ყურძნის მაღალი მოსავლის ოსტატთა მუშაობის მაგალითები და აღნიშნავს, რომ რაიონში ახლა დიდი მუშაობა სწარმოებს მოწინავეთა გამოცდილების ყველა კოლმეურნეობაში, ბრიგადასა და რგოლში დასანერგავად. ამ გამოცდილების გამოყენების საფუძველზე ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მშრომელებს რაზმავენ წელს შარშანდელზე მეტი მოსავლის მოსაყვანად. ზესტაფონელი მევენახეები ვენახებში შეიტანენ 10.000 ტონაზე მეტ ორგანულ სასუქს, 800 ჰექტარზე აზოტოვან სასუქს და 1.000 ჰექტარზე წუნწუხს, მეჩხერიანობის ლიკვიდაციისათვის გადაწვენენ 250 ათას ძირ ვაზს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 200 ათასი ძირისა; დაამყნიან 1.400.000 ძირ ვაზს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 950 ათასი ძირისა.

ამხ. საყვარელიძემ რაიონის მშრომელთა სახელით სიტყვა მისცა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, რომ წელს რაიონში ჰექტარზე მოიყვანონ საშუალოდ 55 ცენტნერი ყურძენი.

საქართველოს კ. პ. (ბ) მცხეთის რაიკომის მდივნის ამხ. **ქართველიშვილის** გამოსვლიდან გამოირკვა, რომ რაიონში ვენახების მდგომარეობა აშკარად არადამაკმაყოფილებელია. ყოველწლიურად უარესდება ვენახების დამუშავება, არ არის აგრეთვე სათანადოდ მოწყობილი ყურძნის მოსავლის დაცვა; რაიონული პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოები სათანადოდ არ ზრუნავენ ვაზის მოვლის გასაუმჯობესებლად. ასეთ პირობებში ბუნებრივია, რომ აქ შარშან ჰექტარზე საშუალოდ რაიონში მიიღეს მხოლოდ 5 ცენტნერი ყურძენი. ამ სამარცხვინო ჩამორჩენის გამოსასწორებლად ახლაც არ არის მიღებული გადამჭრელი ზომები. ამხ. ქართველიშვილი თათბირზე ცდილობდა ჩამორჩენა „ობიექტური“ მიზეზებითაც აეხსნა, თავს იმართლებდა იმით, რომ რაიონი დატვირთულია ბოსტნეულ-ბაღჩეული და სხვა კულტურებით.

ამბროლაურის რაიონის სოფელ ხვანჭკარის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **ტყეშელაშვილმა** სთქვა: ჩვენს კოლმეურნეობას გაშენებული აქვს ალექსანდროული, რომელიც იძლევა ხვანჭკარას ტიპის ღვინოს. ამასთან ერთად გაშენებული გვაქვს „რაჭული თეთრა“, რომელიც მაღალმოსავლიანია. წელს ვაზის შტამბი მთლიანად გავწმინდეთ, ვენახებში შევიტანეთ 218 ტონა ორგანული სასუქი. დღეისათვის ვენახები მთლიანად გასხლული და შებარულია 47 ჰექტარზე. ამჟამად მასობრივად მიმდინარეობს ვენახების პირველი თოხნა. შარშან ჰექტარზე მივიღეთ საშუალოდ 45,2 ცენტნერი ყურძენი. კოლმეურნეთა სახელით პირობას ვიძლევი, რომ მიმდინარე წელს 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ 80 ცენტნერი ყურძენი, ხოლო 56 ჰექტარზე 55 ცენტნერი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მევენახეობის სამმართველოს უფროსმა ამხ. **ფოფხაძემ** ილაპარაკა ვაზის აგროტექნიკურ ღონისძიებათა განუხრელად შესრულების, კერძოდ სტახანოვური აგროტექნიკის — ვენახების დამატებითი გამოკვების უფრო ფართოდ განხორციელების საჭიროებაზე. ის შეეხო პარალელიზმს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის და საქარის საცდელი სადგურის მუშაობაში. ამხ. ფოფხაძემ აღნიშნა, რომ ჩვენი მევენახეები საკმაო რაოდენობით არ არიან მომარაგებულნი სასხლავი იარაღით, სანამყენე დანებით. განსაკუთრებით ცუდი ხარისხის სანამყენე დანა გამოუშვა საქართველოს სარეწაო საბჭოს სისტემაში შემავალმა თბილისის ვოროშილოვის სახელობის არტელმა.

ყვარლის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. **ს. ბუჯიაშვილმა** განაცხადა, რომ ჩვენ ახლა ენერგიულ ზომებს ვიღებთ ყურძნის მოსავლიანობის გასადიდებლად. ვენახების სიმეჩხრის ლიკვიდაციას მოვახდენთ ვაზის გადაწვენითა და გამორგვის გზით. ჩვენი ვენახების ნახევარზე მეტი შეიძლება დამუშავდეს სპეციალური ტრაქტორებით, მაგრამ ყვარლის მტს-ი არ ზრუნავს ამ საკითხის მოსაგვარებლად. გვჭირდება დახმარება გუთნებით, მავთულით.

მარცვლეულის უხვი მოსავლის მოყვანისათვის უმაღლესი ჯილდო მომენიჭა. ამ საპატიო ჯილდოს ვუპასუხებთ იმით, რომ წელს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ამაღლებასთან ერთად მოვიპოვებთ სერიოზულ წარმატებას მევენახეობაში. კოლმეურნეთა სახელით სიტყვას ვაძლევ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, რომ 83 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ 40 ცენტნერი, ხოლო 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 70 ცენტნერი ყურძენი. ჩვენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავეს“.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ საგემოვნო მრეწველობის მინისტრი ამხ. **ვ. ბაქრაძე**, რომელმაც აღნიშნა ის მიზეზები, რამაც გამოიწვია მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში ყურძნის მოსავლიანობის გეგმის შეუსრულებლობა. მიმდინარე წელს, — სთქვა ამხ. ბაქრაძემ, — საბჭოთა მეურნეობებს ყველა პირობა აქვს გადამეტებით შეასრულონ მოსავლიანობის დაწესებული გეგმა. მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საჭიროა ენერგიულად ვიბრძოლოთ ვენახებში მეჩხერიანობის ლიკვიდაციისათვის. ამხ. ბაქრაძემ აღნიშნა, რომ ქართული ღვინის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საჭიროა ყოველმხრივ განვავითაროთ კახური მწვანე.

თათბირზე სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილების გამგე ამხ. **ბიძინაშვილი**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი თელავის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი ამხ. **ალექსიძე**, ხირსის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. **შარაშიძე**.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **კ. ნ. ჩარკვიანმა**, რომელმაც მევენახეობის რაიონების მუშაკებს მთელი რიგი კონკრეტული ამოცანები დაუსახა ყურძნის მოსავლიანობის ამაღლებისათვის.

ამხ. ჩარკვიანი ამბობს, რომ მევენახეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. საბჭოთა კავშირში საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მევენახეობის მხრივაც. ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივი პირობები იმდენად ხელსაყრელია მევენახეობისათვის, რომ იგი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გვაკისრებს საბჭოთა კავშირის წინაშე მეღვინეობისა და მევენახეობის დარგში. საქართველო აძლევს საბჭოთა კავშირს არა მარტო სუფრის ღვინოს, არამედ შამპანურს, კონიაკს. ხარისხობრივი მეღვინეობის განვითარებაში წამყვანი როლი ეკუთვნის ჩვენს რესპუბლიკას. ამიტომ არის, რომ საკავშირო მთავრობა, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი და პირადად საბჭოთა ხალხის ბელადი ამხანაგი **სტალინი** დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენში მეღვინეობის განვითარებას.

(დასასრული მესამე გვერდზე)

ფართოდ გავავრცელოთ მოწინავე მევენახეთა გამოცდილება!

თათბირი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ყურძნის მოსავლიანობის გადიდების საკითხზე

(დასასრული)

ამხ. ჩარკვიანი აღნიშნავს, რომ მევენახეობის მდგომარეობა ჩვენში არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. დიდი სამამულო ომის წლებში კოლმეურნეთა დაუღალავი შრომით ძირითადად შენარჩუნებულია ვენახების ფართობი. მევენახეობამ მაინც დიდი ზიანი განიცადა. ომის წლებში მოვლის გაუარესების შედეგად ზოგან ვენახი გამეჩხრდა. მთავარი ამოცანა ახლა ის არის, რომ გავაუმჯობესოთ ვენახების მდგომარეობა, მკვეთრად გავადიდოთ მოსავლიანობა.

შეეხო რა ყურძნის მოსავლიანობის გადიდების კონკრეტულ ღონისძიებებს, ამხ. ჩარკვიანმა საბრძოლო ამოცანად დასახა ვენახების მოვლის შემდგომი გაუმჯობესება, ყველა სამუშაოს აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულება. წლევანდელი წელი, — ამბობს ის, — მევენახეობაში გარდატეხის წელიწადი უნდა იყოს. ჩვენმა მევენახეებმა ისეთსავე წარმატებას უნდა მიაღწიონ როგორსაც აღწევენ მეჩაიეები, მეციტრუსეები, მეთამბაქოეები, როგორიც მოპოვებულია მარცვლეულის მეურნეობის დარგში.

ამხ. ჩარკვიანი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას მევენახეობის დარგისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხზე პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების მხრივ. კოლმეურნეობა მსხვილი მეურნეობაა. ამ მეურნეობის თვითეულ დარგს ესაჭიროება სწორი წარმართვა. ეს მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კოლმეურნეობის გამგეობის, მისი თავმჯდომარის, საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის უნარიან მუშაობაზე. სწორად უნდა დავგეგმოთ ვენახის სამუშაოები, დაგეგმვისას ვიხელმძღვანელოთ მოწინავეთა მაჩვენებლებით.

ამხ. ჩარკვიანმა თავის გამოსვლაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო მევენახეობაში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხებს. საჭიროა, — ამბობს ის, — მოეწყოს მევენახეობის სპეციალური ბრიგადები. ამასთანავე დიდ შედეგს იძლევა ვიწრო ინდივიდუალური სანარდო სისტემის დანერგვა — ვენახების ნაკვეთების მიმაგრება ცალკეული კოლმეურნეებისადმი, რითაც კოლმეურნეობებში გადიდდება შრომითი რესურსები. ამხ. ჩარკვიანი ერთ-ერთ ამოცანად სახავს თბილისის მშრომელთა მომარაგებას ყურძნით. ამ მიზნით თბილისის მახლობელ რაიონებში სუფრის ყურძნის კარგი მოსავალი უნდა მოვიყვანოთ. თბილისის, მცხეთისა და გარდაბნის რაიონებმა უნდა მიაღწიონ მკვეთრ გარდატეხას მევენახეობაში. ამ რაიონების პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ ბრძოლას ვენახების მოვლის გადაჭრით გაუმჯობესებისა და ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ამ თათბირზე აყენებდნენ ვენახებში სამუშაოთა მექანიზაციის გაძლიერების, ვენახის წვრილი ინვენტარის მეტი რაოდენობით გამოშვების და მისი ხარისხის გაუმჯობესების, სათბურების საჭიროებისათვის მინის გამოყოფის საკითხებს. როგორც ირკვევა, მევენახეობაში საჭირო გუთნების ერთი ნაწილის დამზადება ადგილობრივაც შეიძლება. ამ საქმეს სერიოზულად უნდა მოჰკიდოს ხელი საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ, იბრძოლოს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისა და მისი გაიაფებისათვის. საჭიროა შევამოწმოთ სანამყენე დანების გამოშვების ხარისხი. წარმოების ის დირექტორი, რომელიც უვარგის პროდუქციას უშვებს, მკაცრად უნდა დავსაჯოთ.

ამხ. ჩარკვიანი აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო არასაკმაოდ ხელმძღვანელობს მევენახეობას. სამინისტროს მუშაკებს მან ამოცანად დაუსახა მეტი გულისხმიერება და ყურადღება გამოიჩინონ მევენახეობის საკითხებისადმი.

შეჩერდა რა ვენახების საკუთარ ძირზე გაშენების საკითხზე ამხ. ჩარკვიანმა განაცხადა, რომ საქართველოს მინისტრთა საბჭომ და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება იმის შესახებ, რომ ასეთი წესით დაირგოს საცდელად ხუთასი ჰექტარი ვენახი მთელს რესპუბლიკაში. მევენახეობის ზოგიერთ მუშაკს მიდრეკილება ემჩნევა ფართოდ გადავიდეს საკუთარი ძირებით ვაზის გაშენებაზე. ხელაღებით ამ საკითხის გადაჭრა არ შეიძლება. ამხ. ჩარკვიანი გაფრთხილებას იძლევა, რომ რადგან ეს ღონისძიება ჯერ საბოლოოდ შემოწმებული არ არის, საჭიროა ვიმოქმედოთ არა ფართო მასშტაბით, არამედ დადგენილ ფარგლებში.

ამხ. ჩარკვიანი შეჩერდა აგრეთვე მევენახეობის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობაზე და აღნიშნა, რომ მათ ჯერჯერობით მთელი რიგი ნაკლოვანებანი ახასიათებთ. ეს დაწესებულებანი მტკიცედ არ არიან დაკავშირებული მევენახეობის მოწინავე ადამიანებთან, არ იძლევიან მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას. ნაკლები ყურადღება ექცევა ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადებას. მევენახეობის მნიშვნელოვან საკითხებზე ჩვენი მეცნიერი მუშაკები მრავალ ცდას აწარმოებენ, მაგრამ საბოლოო დასკვნის გაკეთება უძნელდებათ. ამხ. ჩარკვიანმა აღნიშნა, რომ საჭიროა მევენახეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირფესვიანად გაუმჯობესება.

სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლაში დიდ როლს შეასრულებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებანი სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დიდი ჯგუფისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ. ეს დიდი შეფასება გვავალებს უკეთესად მოვაწყოთ წელს სოფლის მეურნეობის სამუშაოები. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საბჭოთა მევენახეებმაც დაიმსახურონ ასეთივე მაღალი შეფასება და სახელი.

* * *

დასასრულ თათბირმა მიიღო მიმართვა საქართველოს სსრ კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი მევენახეობის შემდგომი აღმავლობისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

სტახანოველთა გამოცდილება ახალგაზრდა მუშებს

ახალგაზრდა მუშების საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოწინავე მუშების — სტახანოველების გამოცდილების პოპულარიზაციას.

როგორც გაზეთი „სოციალისტური შეტევა“ (სამტრედია) სწერს, ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ტრესტ „საქართველოს ჩაის“ სამტრედიის მექანიკური ქარხნის კომკავშირის ორგანიზაციამ. ამ ქარხანაში 40-მდე ახალგაზრდა მუშაობს, რომელთა შორის 30 კომკავშირის წევრია. კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით აქ ხშირად ეწყობა მოწინავე მუშათა გამოცდილების გაზიარება და წარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა ლექცია-მოხსენებები წარმოებაში სტახანოვური მეთოდების დანერგვის შესახებ. ასეთი მოხსენებები წაიკითხეს ქარხნის დირექტორმა ამხ. ლ. ეჯიბიამ და მთავარმა ინჟინერმა შ. ვაშალომიძემ.

„დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი იანვარში ქარხნის მოწინავე კომკავშირელი ზეინკლის სამტრედიის რაისაბჭოს დეპუტატ მ. კალაძის მოხსენება თემაზე: „როგორ ვიბრძვი საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის“.

ბევრმა ახალგაზრდამ დაიწყო მუშაობა ქარხანაში მ. კალაძის მეთოდით და კარგ მაჩვენებლებსაც მიაღწიეს. მაგალითად, ო. შუბლაძემ თუ იანვარში გეგმა 213 პროცენტით შეასრულა, თებერვალში დავალება გაანაღდა 248 პროცენტით. ასევე დიდი გადამეტებით შეასრულეს საწარმოო გეგმები კომკავშირელებმა შ. ლეჟავამ, თ. რუხაძემ, ვ. ბოკუჩავამ და სხვებმა“.

სოციალისტური შრომის გმირის ნაამბობი

„აი როგორ მიიღო ჩემმა რგოლმა ჩაის უხვი მოსავალი“ — ამ სათაურით არის დაბეჭდილი გაზეთ **„ქობულეთელ კოლმეურნეში“** ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურის, სოციალისტური შრომის გმირის აიშე ქიქავაძის წერილი.

ა. ქიქავაძე ათ წელზე მეტია, რაც ჩაის ფოთლის მკრეფავია, ხოლო 1942 წლიდან ხელმძღვანელობს რგოლს. სოციალისტური შრომის გმირი სწერს:

„გასულ წელს ჩემმა რგოლმა ბელადისათვის მიცემული პირობა შეასრულა. 2 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მივიღეთ 9.166 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ხოლო პირადად მე 0,5 ჰექტარი პლანტაციიდან 6.900 კილოგრამი“.

შრომის სწორი ორგანიზაციით, კოლმეურნეთა თავდადებული შრომით, აგროტექნიკური წესების ზუსტად დაცვით მოიპოვა ამხ. ქიქავაძის რგოლმა ეს წარმატება.

„ჩაის პლანტაცია დაცულია ქარსაფარი მცენარეებით. ნაკვეთებს ირგვლივ შემოვლებული აქვს პირუტყვისათვის მიუვალი ღობე. ნოემბერში ვწმენდთ სადრენაჟო თხრილებს, პლანტაციაში შეგვაქვს გადამწვარი ნაკელი. დეკემბერ-იანვარში ვაწარმოებთ პლანტაციების გადაბარვას და ჰექტარზე შეგვაქვს 1.200-1.500 კილოგრამი ფოსფოროვანი სასუქი. ნიადაგს ვბარავთ 20-25 სანტიმეტრის სიღრმეზე“.

შემდეგ ამხ. ქიქავაძე გაზეთის საშუალებით მკითხველებს უამბობს ჩაის ბუჩქის გასხვლის მეთოდებზე, კულტივაციის, თოხნის ჩატარების, სასუქის შეტანისა და ჩაის კრეფისათვის მზადების საკითხებზე. მისი რგოლი მიმდინარე წელს ჩაის ფოთლის მაღალი მოსავლის მისაღებად სოციალისტურ შეჯიბრში ჩაება სოციალისტური შრომის გმირის უ. წერეთლის რგოლთან.

„ჩემი რგოლის წევრების სახელით ვალდებულებას ვკისრულობ 8,5 ჰექტარი პლანტაციიდან მივიღო სულ 35.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, აქედან 2 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მივიღებ 12.000 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს, ხოლო პირადად მე 0,5 ჰექტარი პლანტაციიდან მივიღებ 8.000 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს“.

ტონობით სიმინდი კოლმეურნეებს

ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებმა შარშან სიმინდის უხვი მოსავალი მიიღეს. შრომადღის ნატურალური და ფულადი ღირებულება თვალსაჩინოდ გაიზარდა. ქუთაისის რაიონული გაზეთი **„სიმართლე“** ამას უჩვენებს სოფელ კვახჭირის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მაგალითზე.

ამ კოლმეურნეობაში მრავალმა კოლმეურნემ გამომუშავებულ შრომადღეებზე ტონობით სიმინდი და ფულად ათასობით მანეთი მიიღო.

„კოლმეურნე დიმიტრი კობეშავიძის ოჯახმა 1947 წელს გამომუშავებულ შრომადღეებზე 7 ტონა და 980 კილოგრამი სიმინდი მიიღო, ხოლო ფულად — 5 ათას მანეთზე მეტი. ამავე კოლმეურნეობაში ვლადიმერ ახვლედიანს შრომადღეებზე 6 ტონაზე მეტი სიმინდი შეხვდა. ხუთიდან ექვს ტონამდე სიმინდი მიიღეს თვითეულმა — ვლადიმერ ყუფარაძემ, ბიქტორ ცერცვაძემ, ივანე სულაკაძემ და ვარლამ სუპატაშვილმა“.

აგარის შაქრის ქარხანამ მუშაობა დაამთავრა

ლ. პ. ბერიას სახელობის აგარის შაქრის ქარხანამ (დირექტორი ა. ნანეიშვილი, მთავარი ინჟინერი კ. ქორქოლაძე) უკვე დაამთავრა შაქრის ჭარხლის გადამუშავების 1947-1948 წლის სეზონი. სულ ამ სეზონში ქარხნის კოლექტივმა გადაამუშავა 903.072 ცენტნერი ჭარხალი და გამოუშვა 102.275 ცენტნერი მაღალხარისხოვანი შაქარი.

სეზონის განმავლობაში ქარხნის კოლექტივმა საწვავის ხარჯვა წინა სეზონთან შედარებით შეამცირა 0,9 პროცენტით, ელექტროენერგიის ხარჯვა — 7,2 პროცენტით. ამავე დროს შრომის ნაყოფიერება გადიდებულია 31 პროცენტით, ნაცვლად გათვალისწინებული 4 პროცენტისა, ხოლო შაქრის დანაკარგი წინა სეზონთან შედარებით შემცირებულია 28 პროცენტით.

შაქრის გამომუშავების მიმდინარე სეზონში ქარხნის კოლექტივის ასეთი მაღალნაყოფიერი, გამართული მუშაობა უზრუნველყოფილ იქნა სეზონის დაწყებამდე აგრეგატების გულდასმითი რემონტის ჩატარების, კადრების კარგად მომზადებისა და შრომის სწორი ორგანიზაციის შედეგად.

ქარხნის კოლექტივი შეუდგა მუშაობას, რათა შაქრის ჭარხლის გადამუშავების ახალ სეზონს სრული მზადყოფნით შეხვდეს.

სსრ კავშირისა და შვეიცარიის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ

მოლაპარაკება, რომელიც სწარმოებდა ამ უკანასკნელ ხანს მოსკოვში სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროსა და შვეიცარიის სავაჭრო დელეგაციას შორის, დამთავრდა სსრ კავშირისა და შვეიცარიის სავაჭრო ხელშეკრულების ხელმოწერით ამა წლის 17 მარტს. ხელშეკრულება ითვალისწინებს იმ პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც განვითარდება ამ ორი ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობა. ხელშეკრულება ძალაში შევა მისი რატიფიკაციის შემდეგ.

მხარეები შეთანხმდნენ აგრეთვე იმის შესახებ, რომ სსრ კავშირი შექმნის ბერნში სავაჭრო წარმომადგენლობას.

ამავე დროს დაიდო შეთანხმება სსრ კავშირსა და შვეიცარიას შორის საქონელბრუნვის შესახებ.

შვეიცარიისათვის საბჭოთა კავშირის მიერ მისაწოდებელი საქონლის სიაში შეტანილია მარცვლეული, ხე-ტყე და სხვა.

სსრ კავშირისათვის შვეიცარიის მიერ მისაწოდებელი საქონლის სია ითვალისწინებს მიწოდებას როგორც ხელშეკრულების პირველი წლის განმავლობაში, ისე შვეიცარიაში გადაცემული საბჭოთა შეკვეთების თავდაპირველ პროგრამას 1949-1951 წლების გახმავლობაში საქონლის მისაწოდებლად.

შვეიცარია საბჭოთა კავშირს მიაწოდებს ენერგოძალოვან და ელექტროტექნიკურ მოწყობილობას, დაზგებს და სხვა საქონელს.

საქონელბრუნვის ანგარიშსწორება იწარმოებს შვეიცარული ან თავისუფლად საკონვერსიო სხვა ვალუტით.

შეთანხმება სსრ კავშირის შვეიცარიის სავაჭრო წარმომადგენლობის შესახებ და შეთანხმება საქონელბრუნვის შესახებ, თუ ისინი ორივე მთავრობამ მოიწონა, ძალაში შევა ამა წლის პირველ აპრილიდან.

სავაჭრო ხელშეკრულებისა და აღნიშნულ შეთანხმებათა დადება ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის ორივე ქვეყანას შორის საქონელბრუნვის მნიშვნელოვანი გაფართოებისა და ურთიერთმომსახურებისათვის.

ხელშეკრულებასა და შეთანხმებებს ხელს აწერენ საბჭოთა მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრი ა. ი. მიქოიანი და შვეიცარიის მხრივ — სავაჭრო ხელშეკრულებათა ფედერალური საბჭოს დელეგატი ბ-ნი მაქს ტრენდლე.

18 მარტს შვეიცარიის სავაჭრო დელეგაცია მოსკოვიდან გაემგზავრა.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია უნგრეთიდან გამოემგზავრა

ბუდაპეშტი, 18 მარტი. (საკდესი). 17 მარტს ღამით საბჭოთა მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის საბჭოთა კავშირის მარშალ კ. ე. ვოროშილოვის მეთაურობით მოსკოვს გაემგზავრა სპეციალური მატარებლით.

ვაგზალზე დელეგაცია გააცილეს: პრემიერ-მინისტრმა ლაიოშ დინიეშმა, პარლამენტის თავმჯდომარემ იმრე ნადმა, პრემიერ-მინისტრის მოადგილეებმა მატიას რაკოშიმ და არპად საკაშიჩმა, მთავრობის წევრებმა, პარტიებისა და პროფკავშირების ლიდერებმა, ბუდაპეშტში აკრედიტებულ უცხოეთის მისიათა მეთაურებმა და თანამშრომლებმა, უნგრეთის არმიის გენერალიტეტის წარმომადგენლებმა, აგრეთვე უნგრეთში საბჭოთა მისიის მთელმა შემადგენლობამ დესპან გ. მ. პუშკინის მეთაურობით, საბჭოთა არმიის გენერლებმა და ოფიცრებმა და სხვებმა.

საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვაგზალში ჩამწკრივებული იყო უნგრეთის არმიისა და პოლიციის საპატიო ყარაული. შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახელმწიფო ჰიმნები.

მატარებლის გასვლის წინ საბჭოთა კავშირის მარშალმა კ. ე. ვოროშილოვმა შემდეგი განცხადება გააკეთა:

„ბატონო პრემიერ-მინისტრო, ბატონო მინისტრებო, ბუდაპეშტის ხალხო!

საბჭოთა მთავრობის დელეგაციისა და პირადად ჩემი სახელით ნება მიბოძეთ გულწრფელი მადლობა გადავიხადოთ ჩვენთვის გაწეული გულითადი სტუმართმოყვარეობისა და ყურადღებისათვის და ჩვენი ქვეყნისადმი როგორც მთავრობის, ისე უნგრეთის საზოგადოებრიობის მხრივ მრავალგზის გამოთქმული სიმპათიისათვის.

ჩვენი აქ ყოფნის დროს ყველგან ვხედავდით უნგრელი ხალხის მჩქეფარე შემოქმედებითს მუშაობას და შესანიშნავ შედეგებს თქვენი მთავრობის დიდი ღონისძიებებისას, რომლებიც მიმართულია უნგრეთის შემდგომი სამეურნეო და კულტურული აღმავლობისაკენ მთელი უნგრელი ხალხის საკეთილდღეოდ. ეს შესანიშნავი წარმატებანი იმის შედეგია, რომ უნგრელი ხალხი მტკიცედ დაადგა დემოკრატიულ საფუძვლებზე თავისი ცხოვრების გარდაქმნის გზას.

სტოვებს რა თქვენს სტუმართმოყვარე დედაქალაქს, საბჭოთა დელეგაცია მეგობარ უნგრეთს, მის მთავრობასა და ხალხს სულითა და გულით უსურვებს ახალ-ახალ წარმატებას თქვენი ქვეყნის ეკონომიური კეთილდღეობისა და აყვავების შემდგომი აღმავლობის საქმეში.

გაუმარჯოს უნგრელ ხალხს, რომელიც წარმატებით აშენებს თავის დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ხალხებს შორის ურღვევ მეგობრობას!“.

საბჭოთა კავშირის მარშალ კ. ე. ვოროშილოვის სიტყვებს ტაშითა და უდიდესი მადლობის შეძახილებით შეხვდნენ.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია უნგრეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრამდე გამოაცილეს საგარეო საქმეთა მინისტრმა ერიკ მოლნარმა, განათლების მინისტრმა დიულა ორტუტაიმ, აგრეთვე უნგრეთში სსრ კავშირის მისიის მრჩეველმა ა. ვ. ტიშკოვმა, გენერალმაიორმა ზამერცევმა და სხვებმა.

ლეო. ქიაჩელი

ჯოტოს მამა*

თავი მეთვრამეტე

— ჯოტოსთან სოხუმში იმ დღეს არ წავსულვარ ხელცარიელი. ღამე იქვე ახლოს სოფელში ერთ ნაცნობ მონადირესთან გავათიე.

სოუში მხოლოდ მეორე დღეს საღამოს დავბრუნდი.

გაკვირვებული დავრჩი, როცა ჩემს სახლს მივუახლოვდი. ჯერ ხმაურობა მომესმა, ჩემი ეზოდან მომავალი. მალე თვალიც მოვკარი, რომ ეზოში ხალხი ირეოდა.

— რა ამბავი უნდა იყოს მეთქი, შემეშინდა. ჯონდოს ნაბიჯი დავაჩქარე.

ეზოს ჭიშკართან სვეტზე ორი ცხენი იყო მიბმული. მაშინვე მივხვდი, რომ სოუელ ცხენებს არ გვანდნენ. ბედაურებით რომ იტყვიან, ნამდვილად ისეთები იყვნენ. ჯოტოს და თემურს სჩვეოდათ ხანდახან მოულოდნელი ამოსვლა სოუში. ასეთ შემთხვევაში სოხუმს მდგარი ჯარის რჩეულ ცხენებზე ისხდებოდნენ. ახლაც ასე მეგონა. დავმშვიდდი.

— მოუკლავთ ამ ავად არ სახსენებლებს ცხენები მეთქი ვსთქვი, როცა ახლოს შევხედე. ოფლის ქაფით ჰქონდათ დაფარული მთელი ტანი. ახლაც სძგერდნენ და ქოშინებდნენ. მეწყინა.

— ჰეი! — დავიძახე ვითომ გაჯავრებულმა. მინდოდა დამეტუქსა ყმაწვილები.

ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე კირილე გორაკოვი გამომეგება. სანამ ცხენიდან ჩამოვიდოდი, მომვარდა. ფუთარივით მარდია და ტანმჩატე ის შეჩვენებული. შემომახტა, გადამეხვია.

— მოგილოცავ, მთის კაცო! — მითხრა და ხმა არ ამომაღებინა, ისე გადამეხვია.

ორივე ერთად ჩამოვქვეითდით.

— რას მილოცავ მეთქი, ვკითხე გაოცებულმა. ხელი დამავლო და ეზოში შემიყვანა ჯონდოიანად.

მოქუჩდნენ მეზობლები. გარს შემომეხვივნენ.

მე კი თვალებს ვაცეცებ, არაფერი მესმის.

აივანზე ორი სამხედრო კაცი შევნიშნე, ორივე უცნობი... კირილემ იმათთან მიმიყვანა.

— ეს არის მთის კაციო, გააცნო ჩემი თავი.

იქვე იდგნენ ჩემი დედაკაცი და ჯოტოს ძიძა, რუსუდანი, გულზე ხელებ დაკრეფილები.

სტუმრებმა სამხედრო სალამი მომცეს. თითქოს მათი უფროსი ვყოფილიყავი, ისე გამომეჭიმნენ.

ერთმა, რომელიც უფროსი სჩანდა, იქვე მდებარე ორ კოხტა ყუთთან მიმიყვანა, ორსავე ხუფები ახადა.

ერთში დაშლილი თოფის ლულა ალაპლაპდა. მეორეში ბალთებით გაწყობილი ჩანთა იდო და ნაირი ბზინვარე კოლოფები ელაგა.

— დავალებული გვაქვს, პირადად ჩაგაბაროთ ეს ორი ყუთი, პატივცემულო მთის კაცო. მომეცი ნება მოგილოცოთ ძვირფასი საჩუქრის მიღება! — მითხრა უფროსმა და ხელი ჩამომართვა. — ვისგან არის, ამას, ალბათ, თქვენც მიხვდებით, და ჩვენ ამის შესახებ დუმილი გვაქვს ნაბრძანები.

იქვე გავხევდი, სადაც ვიდექი.

რა დიდი მიხვედრა უნდოდა, თუ ვისგან იყო საჩუქარი.

დედაკაცი მომიახლოვდა, ყურში ჩამჩურჩულა:

— ალბათ, ჯოტოს გამოგზავნილია, შე კაცო! რატომ ხმას არ იღებ, ვერ მიხვდი?

— ჯოტოს დაენაცვლოს ძიძა მისი, გული რომ ასე გაგვიხარა! — სთქვა ძიძამ.

— მოგესწრო შვილი და ევაა, მთის კაცო! — მომმართა კირილემ. — აბა ახლა ვნახოთ რა საჩუქარი გამოუგზავნია!

ის ორი მომტანი იღიმოდნენ ვითომ საიდუმლოდ და ისე შემომცქეროდნენ დაბნეულს.

კირილემ ერთ წამშიააწყო თოფი. იგი ორ ლულიანი გამოდგა და ჩახმახებიანი.

—ჰოო... ეს კი მართლა იშვიათი განძია მონადირისათვის! — წამოიძახა მან. თვალთან ახლოს მიიტანა. უცებ შეხტა აღტაცებული.

— კაცო, ეს ცნობილი ივაშენცევის თოფია, ჩვენს ტულის ქარხანაში დამზადებული! ლამის გავგიჟდე! ჩემს სიცოცხლეში ეს მეორედ არის, რომ ვხედავ! საოცნებო რამ არის! აი, ყოჩაღ ჯოტო! სად უშოვია ნეტავ ასეთი განძი? გესმის თუ არა? ივაშენცევის ყაიდის თოფი! ივაშენცევის! ხუმრობაა!

არა ერთხელ გამეგონა თოფის ამ იშვიათი ძველი რუსი ოსტატის სახელი. მისი თოფი კი არ მქონებია, თუმცა ბევრჯერ მიცდია შეძენა.

ვერ მოვითმინე, კირილეს თოფი ჩამოვართვი. გულზე ორივე ხელით მივიხუტე და უსიტყვო მადლობის აღსანიშნავად მომტანთ წინაშე თავი ისე დაბლა დავხარე, რომ მიმხვდარიყვნენ, თუ ვის ვაკუთვნებდი ჩემს დიდ მადლობას.

კირილე ახლა მეორე ყუთს მისდგომოდა.

— რამდენი მარაგია! — იძახდა იგი გახარებული. — აი ვაზნები სატენის მთელი მოწყობილობით. ფისთონი, ფინდიხი, ტყვია, სათანტი... ეს რა ამბავია ამდენი? ჩვენი საზიაროც არის, ალბათ... აჰა, ეს ზუმბაც...

ჩემი მანუჩა, ჯოტოსა და მისი ამხანაგების მეგობარი, შინ არ იყო. ვიცოდი აჭავჭარაზე მორიგეობდა ჯოგში. მინდოდა კი, რომ შესწრებოდა ამ საკვირველ ამბავს.

იმ საღამოს არავისთვის გამიმხელია საჩუქრის საიდუმლოება. პატივი ვეცი რამდენიც შემეძლო ჩემს გამხარებელ სტუმრებს. მოვასვენე.

მეორე დღეს დილით ადრე გაუდგნენ უკან გზას. გავაცილე.

მერე, რაკი შინ წუხანდელი ვახშმიდან მორჩენილი ხორაგი მეგულებოდა, საუზმეზე ვაწვიე მეზობლები სახელდახელოდ. ჩვენი თავმჯდომარე კირილე უპირველესად ყოვლისა, რა თქმა უნდა, და სხვა თავკაცები.

და აქ გავამხილე ძვირფასი საჩუქრის საიდუმლოება, რადგანაც ვიცოდი, რა დღეს, რა ხვალ, მაინც არ დაიმალებოდა.

დაწვრილებით ვუამბე ყოველივე.

ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს თუმცა ცოტა მრისხანე კაცის სახელი აქვს გავარდნილი, მაგრამ ისე გულკეთილია, ალალი და ბუნებით მხიარულიც. რამდენი ხანია ვიცნობ, ვმეგობრობ, მაგრამ ჩემი ამბის მოსმენის შემდეგ იმ დილას პირველად დავინახე მისი წვრილი, მომნუსხველი თვალები ისე გაფართოებული, გაკვირვებული და, რაც სრულიად მოულოდნელი იყო, აცრემლებულიც — გადამეხვია და მაკოცა.

— გისახელებია ჩვენი სოუ! გისახელებივართ სოუელები! — მეუბნებოდა სიხარულით და ბედნიერების სლუკუნშერეული ხმით.

იმდენი დღე, თვე და წელიწადი შეგვმატოთ, ჩემი ჯოტოს მეგობრებო, რამდენიც იმ დღის შემდეგ ამ ამბის გასაგებად ჩემს ქოხს მახლობელი თუ შორეული სტუმარი ეწვია, და სავსე ჯიხვის ყანწებით ჩვენი ქვეყნისა და მისი დიდი ადამიანების სადღეგრძელო ითქვა.

თავი მეცხრამეტე

რაც დრო გადიოდა, ომი მით უფრო მძაფრდებოდა, სამკვდრო-სასიცოცხლო ხდებოდა.

მომხდურ მტერს თავიდანვე ის იმედი ჰქონდა, რომ იგი ისევე სწრაფად დაიპყრობდა საბჭოთა კავშირს და მის საბჭოთა ჯარს დაიმორჩილებდა, როგორც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს და მათ შეიარაღებულ ძალებს.

მაგრამ ვერაგი ზრახვა არ გაუმართლდა.

პირველი მოულოდნელი თავდასხმის წარმატებისაგან თავბრუდახვეული, იგი აწყვეტილივით წინ მიიწევდა საბჭოთა ქვეყნის შუაგულისკენ, იპყრობდა ტერიტორიას, ძირფესვიანად სთხრიდა სოფლებს, ანგრევდა ქალაქებს, ატყვევებდა და ჟლეტდა ხალხს.

ხოლო მთავარ მიზანს მაინც ვერ სწვდებოდა: საბჭოთა ჯარის წინააღმდეგობისათვის ბოლო ვერ მოეღო და საბჭოთა კავშირის დაულეველი მანძილებისათვის არა თუ ხელი, თვალიც ვერ გადაეწვდინა.

საბჭოთა ჯარი სასტიკ თავდაცვით ბრძოლებს აწარმოებდა. იგი რუსეთის სიღრმეებისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ იხევდა ბრძოლით: მის ამოცანას შეადგენდა დროებითი გამარჯვებით გათამამებული დამპყრობის ძალების მოღალვა, მათი მოწყვეტა მთავარი საყრდენებისაგან და ვეება სივრცეებში დაქსაქსვა საბოლოო, გამანადგურებელი დარტყმის უზრუნველსაყოფად.

თავისი საბედისწერო წინსვლა მტერს ნანატრად და მიზანშეწონილად მიაჩნდა. იგი დღიდან დღე შეუსვენებლად განაგრძობდა მას. ხოლო იმას კი ვერ ხედავდა დაბრმავებული, რომ მახეში ებმებოდა.

საბჭოთა მთავრობისა და სარდლობის რწმენა გამარჯვებისადმი მტკიცე იყო და ურყეველი. ეს რწმენა როგორც ბრძოლის ფრონტს, ისე ზურგსაც კიდით კიდემდე ასულდგმულებდა.

არ დარჩენილიყო კუთხე, რომლის მებრძოლ მკვიდრს ხმელეთზე თუ ჰაერში ან ზღვაზე მტერთან შებმის დროს სამაგალითო ვაჟკაცობის გამოჩენისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელი არ მოეხვეჭნა.

არ დარჩენილიყო სოფელი, რომლის გაღებულ წვლილს — სისხლით, ოფლით თუ დოვლათით — თავდაცვის საქმე არ გაემტკიცებინა და სახელმწიფოს ბრძოლის უნარიანობისათვის ძალა არ შეემატებინა.

საქართველოს სხვა კუთხეებს არც ბზიფის ხეობა ჩამორჩენილიყო.

ხოლო პატარა სოუ სხვა სოფლებისათვის სახარბიელო, სანატრელ ბედსაც კი სწეოდა.

მის ცაზე ყველაზე უფრო ადრე დანთებულიყო საბჭოთა კავშირის პირველი ქართველი გმირის სახელი.

ეს იყო მთის კაცის ვაჟის, ჯოტო ქარდუას სახელი.

* * *

საბჭოთა კავშირის გმირის ნაამაყო წოდებით ჯოტო ქარდუას დაჯილდოების ამბავი სოუში შედარებით გვიან მოვიდა. მას საქართველოს სხვა კუთხეები უკვე შემოევლო. გაზეთებში მოთავსებულ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება და ახალგაზრდა გმირის სურათი მისი ვაჟკაცობის ისტორიითურთ მთელ ქვეყანას მოჰფენოდა.

მოუცლელობის გამო მანუჩა იშვიათად ჩადიოდა სოხუმში ჯოტოს წერილებისა და ახალი გაზეთების ამოსატანად. ჩვეულებრივად კი კვირაში ერთხელ მაინც გადაუცილებლად სოუსა და სოხუმს შორის თვითონ მთის კაცი მიმოდიოდა, რადგანაც ჯოტო თავის წერილებს სოხუმში აგზავნიდა ლია გარსიას სახელზე.

მთის კაცს ბედი სწყალობდა. თითქოს შეთანხმებულები იყვნენ მამა და შვილი, ისე ემთხვეოდა მეტწილად მისი სოხუმს ჩასვლა წერილის მოსვლას.

მაგრამ რაკი უკანასკნელად წერილის მისაღებად მგზავრობა მანუჩას მოუხდა შემთხვევით, ჯოტოს იშვიათი გამარჯვების სასიხარულო ამბავი მან პირველმა გაიგო, და მისი მახარობლობაც ერგო.

(გაგრძელება იქნება)

---

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი“ № 14, № 17, № 20, № 22, № 25, № 30 № 32, № 37, № 47, № 50, № 52, № 55, № 56.

ეტლის განცხადება თემთა პალატაში

ლონდონი, 16 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ეტლიმ თემთა პალატაში გამოაცხადა, რომ ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა „უშიშროების თვალსაზრისით სასიცოცხლო მნიშვნელობის“ სამუშაოზე არ დაუშვას ის პირები, რომლებიც კომუნისტური პარტიის წევრები არიან. ამასთან ეტლიმ დასძინა, რომ „იგივე წესი გავრცელდება იმ პირებზე, რომელნიც ცნობილი არიან თავიანთი აქტიური ურთიერთობით ფაშისტურ ორგანიზაციებთან“.

ეტლიმ პასუხი გასცა შეკითხვებზე და განაცხადა, რომ მას არ შეუძლია დაასახელოს იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებზეც ახალი ბრძანება გავრცელდება.

თემთა პალატის წევრმა კომუნისტმა გალახერმა მთავრობას ბრალად დასდო, რომ იგი „მლიქვნელობს კონსერვატორებისა და ამერიკელი დოლარიანი ბობოლების წინაშე“.

პარლამენტის წევრმა კომუნისტმა პირატინმა განაცხადა, რომ „ამ ღონისძიებას ინგლისის მშრომელი კლასები შეაფასებენ როგორც კომუნისტური პარტიის მიმართ პოლიტიკური დისკრიმინაციის გამოვლინებას, რის მიზანიც არის კომუნისტური პარტიისათვის სახელის გატეხა ინგლისის პროგრესული ძალების თვალში“.

ჰარი პოლიტი ეტლის მიერ თემთა პალატაში გაკეთებული განცხადების შესახებ

ლონდონი, 16 მარტი. (საკდესი). კომენტარი გაუკეთა რა ეტლის განცხადებას თემთა პალატაში იმის შესახებ, რომ კომუნისტებს აღარ დაუშვებენ საიდუმლო სამუშაოზე სახელმწიფო აპარატში, ინგლისის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჰარი პოლიტმა პარტიის აღმასკომის სახელით განაცხადა: „პრემიერ-მინისტრის განცხადება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლების განხორციელებასაც მთავრობა აპირებს, წარმოადგენს ყველა იმ ანტიფაშისტის ხსოვნის შეურაცხყოფას, ვინც ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდა და იმ პრინციპებზე უარის თქმას, რომლებისთვისაც ომი სწარმოებდა. ეს უსირცხვილო ცილისწამებაა, რაც იმისაკენ არის მიმართული, რომ კომუნისტები, რომლებიც ყველგან თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იმყოფებიან, გაუთანაბრონ ფაშისტებს, რომლებიც ყველა ქვეყანაში კვისლინგები და გამცემლები იყვნენ“.

შემდეგ პოლიტმა განაგრძო: „ახლა პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ მთავრობას განზრახული აქვს ინგლისში კომუნიზმის განვითარებას ხელი შეუშალოს კომუნისტების დაშინებისა და სახელმწიფო აპარატში მათი დევნის გზით და ამავე დროს წინადადებას იძლევა გამონახულ იქნას მუშახელი მრეწველობის დაუკომპლექტებელი დარგებისათვის უმუშევრობის შეგნებულად შექმნის გზით და იმით, რომ უმუშევარნი აიძულონ წავიდნენ მრეწველობის ამ დარგებში. ფიზიკური და გონებრივი შრომის ყველა მუშაკთა ყურადღებას ერთნაირად მივაპყრობთ იმ ფაქტს, რომ ჯერ არასოდეს მომხდარა, რომ ინგლისის ყოველი მთავრობის თავდასხმა კომპარტიის წევრებზე ყველა მუშის წინააღმდეგ შეტევის მომასწავებელი არ ყოფილიყო. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ეს შეტევა იმის ცდას წარმოადგენს, რომ გასთიშონ ერთიერთი კავშირი—სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირი—და მოამზადონ ნიადაგი პროფკავშირების ყველა წევრთა დემოკრატიული უფლებების წინააღმდეგ შემდგომი შეტევისათვის“.

დასასრულ პოლიტმა განაცხადა: „ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებაც მთავრობას განუზრახავს, ინგლისის უშიშროების უზრუნველყოფასთან საერთო არა აქვს რა. ამ უშიშროებას სწრაფად ეთხრება ძირი იმის შედეგად, რომ თვით მთავრობა არასწორ პოლიტიკას აწარმოებს და უპრინციპოდ უკავშირდება იმპერიალიზმს. პირიქით, ეს პოლიტიკური ღონისძიებაა, რომელიც პოლიტიკური მიზნით ხორციელდება, რათა კონსერვატიული პარტიისა და უოლ სტრიტის მხრივ მოწონება დაიმსახურონ. მოვუწოდებთ ყველას, ვისაც ნამდვილად სწამს პოლიტიკური თავისუფლება და დემოკრატია, პროტესტი განაცხადონ მთავრობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც მოსალოდნელი იყო კონსერვატიული მთავრობისაგან, მაგრამ რომელიც ლეიბორისტული მოძრაობის ყველა პრინციპს არღვევს“.

პროტესტები ეტლის გამოსვლის წინააღმდეგ

ლონდონი, 18 მარტი. (საკდესი). როგორც პრეს ასოშიეიშენის სააგენტო იუწყება, პარლამენტის ლეიბორისტმა წევრმა ჰაროლდ დევისმა გუშინ შეიტანა მეორე საპროტესტო რეზოლუცია მთავრობის იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც კრძალავს კომუნისტების მუშაობას სახელმწიფო აპარატში. დევისის რეზოლუციას მხარი დაუჭირა პარლამენტის 41 წევრმა.

რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ეტლის განცხადება „წარმოადგენს დემოკრატიისა და სამოქალაქო თავისუფლებათა პრინციპებისაგან დაშორებას“.

ინგლისური გაზეთები ლეიბორისტული მთავრობის ანტიკომუნისტური ლაშქრობის შესახებ

ლონდონი, 17 მარტი. (საკდესი). ინგლისური პრესის გამოხმაურებიდან ჩანს, რომ მთავრობის გადაწყვეტილებამ—დაიწყოს ანტიკომუნისტური ლაშქრობა და წმენდა სახელმწიფო მოსამსახურეთა შორის—მნიშვნელოვანი შეშფოთება გამოიწვია. ზოგიერთი გაზეთი სარედაქციო სტატიებში აკრიტიკებს მთავრობის გადაწყვეტილებას.

„დეილი ექსპრესის“ პოლიტიკური მიმომხილველი იუწყება, რომ პარლამენტის ლეიბორისტი წევრები ამ საკითხს განიხილავენ თავიანთ სხდომაზე, რომელსაც ზოგიერთი მინისტრი დაესწრება.

„16 მარტს პარლამენტის ბევრმა ლეიბორისტმა წევრმა თავისი შეშფოთების შესახებ განაცხადა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიისადმი კუთვნილება საკმაო მიზეზია სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურის გადასაყვანად სხვა სამუშაოზე ან დასათხოვნად“. ამ შეშფოთებას ალბათ ბევრი იზიარებს. ლაპარაკობენ, რომ ლეიბორისტები—უკანა სკამებზე სხდომარენი, საპროტესტო რეზოლუციას შეიტანენ პოლიტიკური დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

სახელმწიფო მოსამსახურეთა „ლოიალობის“ გამოკვლევა მი-5-ის (ინგლისის სამხედრო დაზვერვის განსაკუთრებული განყოფილება) ხელში იქნება, და გაზეთები ფიქრობენ, რომ ასობით სახელმწიფო მოსამსახურეს ან ნაკლებმნიშვნელოვან სამუშაოზე გადაიყვანენ, ან დაითხოვენ.

„დეილი უორკერის“ პოლიტიკური მიმომხილველი სწერს, რომ მაბეზღრებსა და გაბოროტებულ, მოშურნე ადამიანებს პოლიტიკური საიდუმლო პოლიცია წააქეზებს დაბეზღებისათვის. დაზარალებული მუშაკები ვერ შესძლებენ ფარული ბრალდების გასაჩივრებას. მათ შეუძლიათ მიმართონ მხოლოდ მინისტრს, რომელიც უკვე დაეთანხმა სადამსჯელო ღონისძიებაზე.

ავსტრიის ამერიკელთა სამხედრო ადმინისტრაციის მოქმედება

ვენა, 18 მარტი. (საკდესი). გაზეთ „ესტერრაიხიშე ცაიტუნგი“ ზალცბურგიდან (ამერიკული ზონა) იუწყება, რომ ამ ქალაქის მოსახლეობა აღშფოთებულია ამერიკელთა საოკუპაციო ხელისუფლების სპეციალური აგენტების მოქმედებით, რომლებიც „მოსახლეობის შეხედულებას არკვევენ“.

აგენტები შედიან ავსტრიელთა ბინებში და ამერიკელ ხელისუფალთა მიერ გაცემული მოწმობების საფუძველზე მოითხოვენ პასუხს ანკეტაში დასმულ დაახლოებით 200 კითხვაზე. ამ კითხვებში ისეთებიც არის, რომლებზე პასუხის გაცემაც შეიძლება დიდად საშიში იყოს, მაგალითად: „გჯერათ თუ არა, რომ სასურსათო მარაგების 60 პროცენტი უზრუნველყოფილია ამერიკული დახმარებით?“, „საოკუპაციო ჯარების გაყვანის მომხრე ხართ თუ არა?“

როგორც გაზეთი აღნიშნავს, ამერიკელმა ხელისუფლებმა აღიარეს, რომ ავსტრიაში არსებობს სპეციალური ამერიკული „საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი“, რომელიც, როგორც ცნობილია, უთვალთვალებს ავსტრიელ მოსახლეობას. შემდეგ, „ესტერრაიხიშე ცაიტუნგი“ იუწყება, რომ ამერიკელთა პოლიცია ღამით ჩხრეკას აწყობს ადგილობრივ მცხოვრებთა ბინებში, ჩხრეკის საბაბად იმას იყენებენ, რომ დაეძებენ მეძავებს და მათთან მყოფ ამერიკელ ჯარისკაცებს.

მოლაპარაკება სფორცასა და ბევინს შორის

რომი, 18 მარტი. (საკდესი). გაზეთი „ავანტი“ პარიზიდან იუწყება, რომ „საფრანგეთის დედაქალაქის საქმეს კარგად გაცნობილი წრეები ამტკიცებენ, რომ გუშინდელი საუბარი სფორცასა და ბევინს შორის უმთავრესად ეხებოდა იტალიის დასავლეთ ბლოკთან შეერთებას“.

ყველა გაზეთი აღნიშნავს სფორცას მიერ პრეს-კონფერენციაზე პარიზში გაკეთებულ განცხადებას—პასუხს ჟურნალისტების შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს იგი ბრიუსელის „ხუთთა პაქტზე“. სფორცამ განაცხადა: „უეჭველია, რომ მისი მრავალი მუხლით დაინტერესებულია იტალია“.

ამერიკის გეგმები ფრანკისტული ესპანეთის შესახებ

რომი, 17 მარტი. (საკდესი). გაზეთ „რეპუბლიკის“ კორესპონდენტი იმოწმებს პარიზის კარგად ინფორმირებულ წრეებს და სწერს, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა რწმუნებული მადრიდში კალბერტსონი თებერვალში მოლაპარაკებას ეწეოდა ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ არტახოსთან და ამერიკის შეერთებული შტატების სახელით ურჩია მას ესპანეთის მთავრობის რეორგანიზაცია. ამერიკის წინადადების თანახმად, მთავრობის მეთაურად უნდა დაინიშნოს ესპანეთის მაროკოს უმაღლესი კომისარი გენერალი ხოსე ენრიკე ვარელა. გარდა ამისა, კალბერტსონმა მოითხოვა, რომ ახალ მთავრობაში შეყვანილ იქნენ ყოფილი ელჩი ლონდონში ჰერცოგი ალბა, ყოფილი ფინანსთა მინისტრი ლარასი და სხვა მოღვაწენი. ვარელა უნდა დანიშნოს თვით ფრანკომ, რომლისთვისაც, ამერიკის პროექტის თანახმად, განკუთვნილია მნიშვნელოვანი პოსტი არმიაში.

ამ წინადადებებს,—იუწყება კორესპონდენტი,—ტრუმენის მინდობილებით მხარი დაუჭირა ადმირალმა შერმანმა, რომელიც მადრიდში გაჩერდა, ვიდრე ხმელთაშუა ზღვაში ამერიკის ფლოტის სარდლობას ჩაიბარებდა. შერმანმა აუხსნა ესპანელ ლიდერებს, რომ მთავრობის რეორგანიზაცია არავითარ გავლენას არ მოახდენს ესპანეთში არსებულ რეჟიმზე. პირიქით, იგი გააძლიერებს მის მდგომარეობას საზღვარგარეთ და საშუალებას შექმნის „მარშალის გეგმაში“ სხვა 16 ქვეყნის თანაბრად ესპანეთის შესაყვანად.

შერმანმა ფრანკოს ურჩია თავი შეიკავოს ტახტზე დონ-ხუანის აყვანისაგან და მონარქიის აღდგენის ამოცანა ახალ მთავრობას მიანდოს.

შერმანი ამერიკის დახმარებას დაჰპირდა ახალ მთავრობას და დაასახელა ღონისძიებანი საზღვარგარეთ ესპანეთის რესპუბლიკური მთავრობის წარმომადგენლობათა და ორგანიზაციათა სალიკვიდაციოდ.

ამასთან დაკავშირებით კალბერტსონმა, თავის მხრივ, ფრანკოს აღუთქვა, რომ საფრანგეთის მთავრობა, ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით, საფრანგეთ-ესპანეთის საზღვრის გასწვრივ შექმნის ზონას, სადაც ესპანელ ანტიფაშისტებს ცხოვრება აეკრძალებათ.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული ოპოზიციის მანიფესტი

ბერლინი, 17 მარტი. (საკდესი). გაზეთმა „ბერლინერ ცაიტუნგმა“ გამოაქვეყნა ნაწყვეტები სოციალ-დემოკრატიული ოპოზიციის მანიფესტისა. როგორც გაზეთი იუწყება, ამ დღეებში ოპოზიციამ, რომელიც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ ილაშქრებს, შექმნა მუდმივი კომიტეტი, რადგან ფიქრობს, რომ მისი დახმარებით უფრო ადვილად შესძლებს თავის მოთხოვნათა განხორციელებას.

მანიფესტში, რომელიც გამოხატავს აღშფოთებას შუმახერული პარტიული ხელმძღვანელობის „უტაქტო და დიქტატორული მეთოდების გამო“, ნათქვამია: „ჩვენ აღშფოთებული ვართ პარტიიდან ძველი სოციალ-დემოკრატი ამხანაგებისა და წინააღმდეგობის მოძრაობის ერთგულ მებრძოლთა უკანონო გარიცხვის მრავალი შემთხვევის გამო. ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ ამ პირთა საქმეების გადასინჯვას ან პარტიაში მათ ხელახლა მიღებას. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩვენმა პარტიამ ნამდვილად გამოიჩინოს პრაქტიკულად დემოკრატიული სულგრძელობა. პარტიისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის, ჩვენ წინასწარ ვაფრთხილებთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის გამგეობის ახლანდელი გენერალური ხაზის გაგრძელების წინააღმდეგ და განსაკუთრებით პარტიის ცნობილ ფუნქციონერთა შორის სამეურნეო და პოლიტიკური კორუფციის წინააღმდეგ“.

ოპოზიცია მოითხოვს, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ შესაძლებლობა მისცეს პარტიის წევრებს მონაწილეობა მიიღონ სახალხო კონგრესში, რადგან დღემდე შემჩნეული „ერთიანობისა და სამართლიანი ზავისათვის მოძრაობის საბოტაჟი დასავლეთ ზონებში იწვევს ეჭვს, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა სეპარატულ პოლიტიკას წამქეზებელია“.

შემდეგ ოპოზიცია მხარს უჭერს ყველა დემოკრატიულ პარტიებთან თანამშრომლობას. „ყველა შემთხვევაში ჩვენ ვგმობთ ბრძოლას სოციალისტებსა და კომუნისტებს შორის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ დადგა დრო ყველა მშრომელთან ერთად ვიმუშაოთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების დარგში და გერმანიის ერთიანობის განხორციელების საქმეში, დადგა დრო ახალი სოციალური წესწყობილების შექმნისა. ჩვენ სწორად მიგვაჩნია ყოველი მოძრაობისათვის მხარდაჭერა, რომელიც გერმანიის ერთიანობის საქმეს ემსახურება“.

5.3 მილიარდი დოლარი „მარშალის გეგმის“ განსახორციელებლად

ვაშინგტონი, 18 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის დახურული სხდომის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ იტონმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ კომისიამ დაამტკიცა 5,3 მილიარდი დოლარის ასიგნობა „მარშალის გეგმის“ განხორციელების პირველი წლისათვის. ამრიგად, წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის გადაწყვეტილება შეესაბამება სენატის მიერ ამას წინათ დამტკიცებულ კანონპროექტს.

მაგრამ წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ საერთო თანხიდან ერთი მილიარდ დოლარს შეადგენს საექსპორტო-საიმპორტო ბანკის სესხი. იტონმა განაცხადა, რომ კომისიას ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილებანი უცხო სახელმწიფოებისათვის სხვა იმ „დახმარების“ შესახებ, რაც გათვალისწინებულია წარმომადგენელთა პალატის კანონპროექტით. ეს არის საბერძნეთისა და თურქეთისათვის დამატებითი სამხედრო დახმარებისა და ჩინეთისადმი ეკონომიური „დახმარების“ გაწევის საკითხები.

საგაფიცვო მოძრაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 18 მარტი. (საკდესი). უკანასკნელი ცნობებით, 350.000-ზე მეტმა მაღაროელმა შესწყვიტა მუშაობა. მთავრობის წრეები, როგორც იუნაიტედ პრესი გადმოგვცემს, არ მოელიან მაღაროელთა გაფიცვების სწრაფად შეწყვეტას, რადგან ქვანახშირის მრეწველნი ემზადებიან გაფთრებული ბრძოლისათვის.

ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე გაფიცულია ნახევარ მილიონამდე მუშა, მათ შორის 350.000-ზე მეტი მაღაროელი, ხორცის მრეწველობის 100.000 მუშა, 5.000-მდე ასოთამწყობი და 2.000-მდე მასწავლებელი, 31 მარტს მოელიან ნიუ-იორკის 14 დიდი გაზეთის ასოთამწყობთა გაფიცვის დაწყებას. ასოთამწყობნი მოითხოვენ კოლექტიური ხელშეკრულების დადებას და სამუშაოზე მხოლოდ პროფკავშირის წევრების მიღებას.

გერმანიის ერთიანობისა და სამართლიანი ზავის მეორე სახალხო კონგრესი

ბერლინი, 18 მარტი. (საკდესი). გერმანიის სახალხო კონგრესის გუშინდელ სხდომაზე 1848 წლის მარტის რევოლუციის გაკვეთილებისა და ეროვნული ერთიანობისათვის გერმანელი ხალხის ბრძოლის შესახებ მოხსენება გააკეთა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ ოტო გროტევოლმა.

გროტევოლი დაწვრილებით შეეხო გერმანიის თანამედროვე მდგომარეობას. მომხსენებელმა მოაგონა სხდომას, რომ პირველი სახალხო კონგრესის შემდეგ გასული სამი თვის მანძილზე გერმანელი ხალხისათვის არახელსაყრელი მთელი რიგი ამბები მოხდა: დასავლეთ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ჩაშალეს საგარეო საქმეთა მინისტრების ლონდონის თათბირი და ამ წარმომადგენლებმა უარი სთქვეს მოესმინათ გერმანიის სახალხო კონგრესის მიერ არჩეული დელეგაციისათვის; დეფაქტო შეიქმნა დასავლეთ გერმანიის მარიონეტული პარლამენტი და მთავრობა; მზადდება დასავლეთ ზონებში სეპარატული ფულის რეფორმა და ბიზონია ტრიზონიად იქცა; შესდგა სამი სახელმწიფოს ლონდონის თათბირი „მარშალის გეგმაში“ და დასავლეთის ბლოკში დასავლეთ გერმანიის შეყვანის ღონისძიებათა შესახებ.

საოკუპაციო სახელმწიფოების პოლიტიკის მიზანი და გერმანიის ოკუპაციის აზრი, სთქვა გროტევოლმა, პოტსდამის შეთანხმებაში შემდეგი სიტყვებით იყო განსაზღვრული: „გერმანიის სრული განიარაღება და დემილიტარიზაცია და ლიკვიდაცია მთელი გერმანული მრეწველობისა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სამხედრო წარმოებისათვის“... მაგრამ ამას მხოლოდ საბჭოთა კავშირი ახორციელებდა თანმიმდევრულად, დასავლეთის სახელმწიფოებმა კი ჩაშალეს ამ გადაწყვეტილებათა პრაქტიკული შესრულება, რითაც დაარღვიეს ნაკისრი ვალდებულებანი. დასავლეთ ზონებში საოკუპაციო ხელისუფალთა პოლიტიკამ გააძლიერა გერმანიის რეაქცია, რაც შეესაბამება ამერიკის მონოპოლისტების ინტერესებს, მაგრამ ეწინააღმდეგება გერმანიის მშვიდობიან განვითარებას.

გროტევოლი შეეხო გერმანიის ტერიტორიულ ცვლილებათა საკითხს და განაცხადა:

პოტსდამის გადაწყვეტილებებში აღნიშნულია მხოლოდ ორი ტერიტორიული ცვლილება. პირველი ეხება ქალაქ კენიგსბერგს და მის მომიჯნავე ოლქს. მეორე ცვლილება ეხება პოლონეთის დასავლეთ საზღვარს. ყოველივე სხვა ტერიტორიული ცვლილება, როგორიცაა მაგალითად საარის ოლქის ცალმხრივი ჩამოშორება, პირდაპირ ეწინააღმდეგება პოტსდამის შეთანხმებას და ამ ცვლილებებს კატეგორიულად უარჰყოფს გერმანელი ხალხი. არსებული საერთაშორისო სამართლის მიხედვით, საარის ოლქი გერმანიის ტერიტორია იყო და კვლავაც იქნება.

რა მდგომარეობაშია გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრის საკითხი? ოლქები, რომლებზეც ლაპარაკია, პოლონეთის დასავლეთი საზღვრის საბოლოო დადგენამდე პოტსდამის შეთანხმებით პოლონეთის სახელმწიფოს გამგებლობას დაექვემდებარა. ეს გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და რუსეთმა, შემდეგ კი ამ გადაწყვეტილებას საფრანგეთიც შეუერთდა. თუ ამჟამად გარკვეული წრეები ცდილობენ შექმნან შთაბეჭდილება, რომ ამ საზღვრის შესახებ ყველა მოკავშირეთა შორის მიღწეული შეთანხმება შეიძლება გადაისინჯოს, ჩვენ ვაყენებთ კითხვას, მაშ რატომ დაეთანხმნენ ეს წრეები განსაკუთრებულ სახელმწიფო ხელშეკრულებათა დადებით, რომ ამ ოლქებიდან მილიონობით ადამიანი გადაესახლებინათ?

შემდეგ ოტო გროტევოლი შეჩერდა დასავლეთ სახელმწიფოების მიერ საკონტროლო საბჭოს და საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შესახებ ოთხმხრივ შეთანხმებათა დარღვევის ფაქტებზე. გერმანიისათვის ამ უმნიშვნელოვანესი ორგანოების საქმიანობის ჩაშლამ ძირი გამოუთხარა გერმანიის ეროვნული არსებობისა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხთა გადაწყვეტის საფუძვლებს.

ოტო გროტევოლმა გადაჭრით გაილაშქრა გერმანიის მტრების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ სახელი გაუტეხონ ერთიანობასა და სამართლიან ზავს და აცხადებენ, სახალხო კონგრესი მარტო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ღონისძიება არისო.

გერმანიის სახალხო კონგრესი, სთქვა შემდეგ გროტევოლმა, მთელი მსოფლიოს წინაშე კატეგორიულ პროტესტს აცხადებს გერმანიის ერთიანობისა და სამართლიანი ზავისათვის სახალხო მოძრაობის ჩახშობის იმ ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომლებიც დასავლეთ გერმანიაში ხორციელდება. სახალხო კონგრესი მქუხარე ტაშით შეხვდა გროტევოლის უკანასკნელ სიტყვებს: „გერმანიაშიც დადგება ისეთი დღე, როცა მსოფლიოს ვერავითარი ძალა ვერ შესძლებს გაჰყოს ის, რაც ერთ განუყოფელ მთელს შეადგენს“.

გროტევოლის შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ვილჰელმ კიულცმა. მანაც თავისი სიტყვა უძღვნა 1848 წლის რევოლუციის შემდეგ გერმანიის ისტორიული განვითარების მიმოხილვას. გერმანიის უკანასკნელი 100 წლის ისტორიის მაგალითებით ვილჰელმ კიულცმა სრულიად დამაჯერებლად ცხადჰყო, რომ ეროვნული ერთიანობის შეუნარჩუნებლად წარმოუდგენელია გერმანიის სახელმწიფოს შექმნა. ახლა, ისევე როგორც 1848 წელს, სთქვა მან, რეაქციული ძალები გარეთ და შიგნით ცდილობენ ხელი შეუშალონ ერთიანობის აღდგენას. მაგრამ ამ ძალებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ გერმანელთა მისწრაფება ერთიანობისადმი შეიძლება რევოლუციური აზვირთებით დამთავრდეს.

შემდეგ სიტყვა მიეცა ქრისტიან დემოკრატთა კავშირის თვალსაჩინო მოღვაწეს ერიხ ფაშერს (ჰალე), რომელიც დაწვრილებით შეეხო 1848 წლის რევოლუციის დამარცხების მიზეზებს. ახლა, ისევე როგორც წინათ, განაცხადა თავის სიტყვაში ფაშერმა, გერმანელი ხალხისათვის კვლავ სამართლიანია ლოზუნგი: „ერთიანობის გზით—თავისუფლებისაკენ“.

ოტო გროტევოლის, ვილჰელმ კიულცისა და ერიხ ფაშერის მოხსენებათა გამო კონგრესზე კამათი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გერმანიის ყველა ნაწილის დელეგატებმა. მუშაობის პირველი დღის დასასრულს გერმანიის სახალხო კონგრესმა გადაწყვეტილებანი მიიღო 1848 წლის მარტის რევოლუციის გაკვეთილების, გერმანიის სახალხო საბჭოს შექმნისა და გერმანიის ერთიანობის საკითხზე სახალხო რეფერენდუმისათვის მომზადების შესახებ.

გადაწყვეტილებაში სახალხო საბჭოს შექმნისა და მისი ამოცანების შესახებ ნათქვამია:

„გერმანიის სახალხო კონგრესი იღებს გადაწყვეტილებას—არჩეულ იქნას გერმანიის სახალხო საბჭო 400 კაცის შემადგენლობით.

გერმანიის სახალხო საბჭო იქმნება როგორც ორგანო, რომელიც სახალხო კონგრესის სესიათა შორის განიხილავს საკითხებს და მიიღებს გადაწყვეტილებებს.

გერმანიის სახალხო საბჭო იბრძვის გერმანიის ერთიანობისა და სამართლიანი საზავო ხელშეკრულებისათვის.

გერმანიის სახალხო საბჭო აქტიურ მონაწილეობას იღებს ყველა საკითხში, რომლებიც გერმანიის სახალხო კონგრესის პროგრამული პრინციპებიდან გამომდინარეობს“.

გერმანიის მეორე სახალხო კონგრესის გადაწყვეტილებაში სახალხო რეფერენდუმისათვის მომზადების შესახებ ნათქვამია:

„გერმანიის სახალხო კონგრესი იღებს გადაწყვეტილებას—1948 წლის 23 მაისიდან 13 ივნისამდე გერმანიის მთელ ტერიტორიაზე შეგროვდეს ხელმოწერა მოთხოვნისათვის, რომ მოეწყოს სახალხო რეფერენდუმი გერმანიის ერთიანობის საკითხზე. ხელმოწერის შეგროვება ევალება გერმანიის სახალხო საბჭოს“.

ბერლინის მშრომელთა მიტინგები

ბერლინი, 18 მარტი. (საკდესი). დღეს, 1848 წლის რევოლუციის ასი წლისთავთან და გერმანიის ერთიანობისა და სამართლიანი ზავის მეორე სახალხო კონგრესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ბერლინში შესდგა მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი სახალხო კონგრესის დელეგატთა მონაწილეობით.

ათასობით ბერლინელი, მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, შეიკრიბა დილის 9 საათზე ჟანდარმენმარკტის მოედანზე, სადაც ასი წლის წინათ დახვრეტილ იქნა ბარიკადებზე 200 ბერლინელი მუშა.

ბერლინის მშრომელთა კოლონები გერმანიის მეორე სახალხო კონგრესის დელეგატების მეთაურობით გაემართნენ 1848 წლის რევოლუციის დაღუპულ მებრძოლთა საფლავებისაკენ ფრიდრიხსჰაინის პარკში. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 120 000 კაცმა.

მიტინგზე ფრიდრიხსჰაინის პარკში ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პირველმა თავმჯდომარემ ვილჰელმ პიკმა. მან განაცხადა, რომ გერმანიის მეორე სახალხო კონგრესთან დაკავშირებით გამართულ მიტინგში ბერლინის მშრომელთა აქტიური მონაწილეობა საუკეთესოდ ადასტურებს გერმანიის ხალხის მისწრაფებას ერთიანობისა და სამართლიანი ზავისადმი.

პოლონეთისა და გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონას შორის სავაჭრო შეთანხმება დაიდო

ბერლინი, 18 მარტი. (საკდესი). პოლონეთის რესპუბლიკასა და გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონას შორის დაიდო სავაჭრო შეთანხმება 1948 წლისათვის: შეთანხმება ითვალისწინებს საქონელგაცვლას 56 მილიონი დოლარის ოდენობით. პოლონეთი შეიტანს ქვანახშირს, კოქსს, ბენზოლს, ნავთს, რკინისა და სხვა ნედლეულს, აგრეთვე კვების პროდუქტებს და, უწინარეს ყოვლისა, თევზს. ამის სანაცვლოდ საბჭოთა ზონა პოლონეთს მიაწოდებს კალიუმს, ხე-ტყეს, მანქანათმშენებლობის ნაწარმსა და ქიმიკალიებს.

მატჩ-ტურნირი მსოფლიოს პირველობაზე ჭადრაკში

ჰააგა, 18 მარტი. (საკდესი). დღეს შესდგა მერვე ტური, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ ბოტვინიკ—სმისლოვი და კერეს-რეშევსკი.

ბოტვინიკ-სმისლოვის პარტია ძალიან ნელა ვითარდებოდა. საკმარისია ითქვას, რომ ბოტვინიკმა პირველი 20 სვლის მოფიქრებას 2 საათი მოანდომა. შემდგომში 20 სვლისათვის მას 30 წუთიღა დარჩა. სმისლოვმა, რომელსაც დროის დიდი მარაგი ჰქონდა, ხარისხა შესწირა ორ პაიკს და თამაში გაართულა. მაგრამ შემდეგ სმისლოვმა არაზუსტად ითამაშა და პარტია გადაიდო, დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში, მაგრამ რამდენადმე უფრო აქტიური პოზიცია აქვს ბოტვინიკს.

კერესმა და რეშევსკიმ ესპანური პარტია გაითამაშეს, რაც ხშირი იყო ამ ტურნირში. რეშევსკიმ დებიუტში თავდაცვის იშვიათი სისტემა აირჩია. ორმხრივ ცაიტნოტში, რეშევსკის წინადადებით, პარტია 24-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

ბოტვინიკ-სმისლოვის დაუმთავრებელი პარტია გათამაშდება 20 მარტს.

საქართველოს პირველობა ჭადრაკში

18 მარტს შესდგა გადადებულ პარტიათა დამთავრება. შიშოვმა მოუგო ასოვსკის და ამით დაიკავა პირველი ადგილი. ფირცხალავამ მოუგო ცინცაძეს, ლონდაძესა და ფხაკაძეს, გერშკოვიჩ-ბლაღიძის პარტია ყაიმით დამთავრდა.

თხუთმეტი ტურის შემდეგ ტურნირის მონაწილეებს აქვთ: შიშოვს 13½ ქულა, ბლაღიძესა და გერშკოვიჩს 11, ფირცხალავას 10½, სოროკინს 10 (1 გადადებული), ებრალიძეს 10, ცინცაძეს 9, ბუსლაევს 7, ქარსელაძეს, კირკიტაძეს, გიორგაძესა და ჯაკობიას 6½.

ჟურნალი „დილა“ № 2

გამოვიდა საბავშვო ჟურნალ „დილის“ მეორე ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: გ. კაჭახიძის—მზიური საქართველო (ლექსი), ბ. ემელიანოვის—ორი წითელარმიელი (მოთხრობა), ი. სიხარულიძის—ისრის სროლა (ლექსი), ი. შენგელიას—საბჭოთა არმიელი (ლექსი), გრ. ჩიქოვანის—სამგორი (მოთხრობა), ნ. აღნიაშვილის—დედობილი (მოთხრობა), ი. გრიშაშვილის—მიჩვეული ზღლურები (ლექსი), გ. შატბერაშვილის—ხილთა ქება (ლექსი), მარიჯანის—მამიდა თეთის მარანი (ზღაპარი), გ. ივანიშვილის—სამი ბიჭი (მოთხრობა), ნ. ჩაჩავას—ჩემი სკოლა (ლექსი), ი. აბაშიძის—ორმები (ლექსი), შარადა, სახუმარო გამოცანა, ანდაზები, რებუსი და სხვ.

ჟურნალში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის პორტრეტი, შესრულებული სახალხო მხატვარ უ. ჯაფარიძის მიერ. ჟურნალში დაბეჭდილია აგრეთვე სურათი „ლ. პ. ბერია ქართველ ბავშვებში“ შესრულებული მხატვარ გ. ჯაშის მიერ. ფერადი ილუსტრაციები შესრულებულია მხატვრების უ. ჯაფარიძის, გ. ჯაშის, გ. ბულისაშვილის, გ. რიონიშვილის, უ. ჯაფარიძის, გ. ჩირინაშვილის, ა. კანდელაკის და შ. ცხადაძის მიერ.

ამინდი

18 მარტს დილით და ღამით დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონში იყო მოღრუბლულობა ნალექით. დილით ყველაზე დაბალი ტემპერატურა იყო მესტიაში (3 გრადუსი ყინვა), ხოლო მაღალი—სოხუმში (6 გრადუსი სითბო). ღამით ონში იყო 3 გრადუსი ყინვა, ხოლო ფოთში 3 გრადუსი სითბო. იმავე დღეს მამისონის უღელტეხილზე დილით იყო მინუს 11 გრადუსი, ღამით მინუს 17 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონში იყო მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა ნალექით, უმეტესად თოვლის სახით. დილით ყველაზე დაბალი ტემპერატურა თერმომეტრმა აჩვენა გუდაურში (7 გრადუსი ყინვა), ხოლო ყველაზე მაღალი—წნორში (8 გრადუსი სითბო), ღამით ყველაზე მაღალი ტემპერატურა იყო თბილისში (2 გრადუსი სითბო).

თბილისში 18 მარტს დილით იყო 7 გრადუსი სითბო, ხოლო 19 მარტს დილის 12 საათისათვის — 4 გრადუსი.

თეატრებში

20 მარტს: ოპერისა და ბალეტის—„ჰოპის ქალი“; **რუსთაველის სახელობის**—„ღრმა ფესვები“; **მარჯანიშვილის სახელობის**—„რაც გინახავს, ველარ ნახავ“; **გრიბოედოვის სახელობის**—„რუსეთის საკითხი“; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „მთის შიშები“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საქართველოს საზოგადოება

საჯარო ლექციათა გეგმა

1948 წლის მარტის მეორე ნახევრისათვის

თბილისში

ვ. ნატროშვილი — „დ. გურამიშვილი“ (ციკლიდან „დიდი ქართველი მწერლები“).

ლ. ასათიანი — „ი. ჭავჭავაძე“ (ციკლიდან „დიდი ქართველი მწერლები“).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ვ. ასათიანი**—„ვიტამინები და მათი მნიშვნელობა“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი **გ. წერეთელი** — „არმაზის ეპიგრაფიკული ძეგლები“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი **ბ. კუფტინი**—„თრიალეთის არქეოლოგიური გათხრები“ (ციკლიდან „ქართული არქეოლოგიის მიღწევები“).

გ. მირიმანოვი — „რეაქტიული (რაკეტული) ძრავები“.

ნ. პავჩინსკი (რუბენი) — „დოლართა იმპერიაში“.

საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი **ი. ფრანგულიანი** — „ჰიგიენა და სანიტარია საზოგადოებრივ ადგილებსა და ყოფაში“.

ა. ფურცხვანიძე — „არის თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტებზე?“

სოხუმში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი **ნ. ბერძენიშვილი**—„აკადემიკოს ს. ჯანაშიას ცხოვრება და მოღვაწეობა“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი **გ. თოფურია**—„აკადემიკოსი ს. ჯანაშია, როგორც ენათმეცნიერი“.

ა. აფაქიძე — „აკადემიკოსი ს. ჯანაშია და ქართული არქეოლოგია“.

ბათუმში

ხ. ფრიშენბერგი — „ამერიკის შეერთებული შტატების ექსპანსია ახლო და შუა აღმოსავლეთში“.

გორში

დ. გვრიტიშვილი — „გორის ისტორია“.

ლექციების ჩატარების დრო და ადგილი ცალკე გამოქვეყნდება პრესაში და აფიშებში.

სამტრესტის კონიაკის ქარხანა აწარმოებს მაღალხარისხოვანი დაძველებული 10-15 წლიანი კონიაკებისა და დაძველებული ჭაჭის არყის გამოშვებას საუკეთესოდ გაფორმებული ბოთლებით.

ქარხანა შეუდგა პურის არყის გამოშვებას სხვადასხვა ზომის ბოთლებით, რომლის ფასი 13%-ით ნაკლებია „მოსკოვის განსაკუთრებულ არაყთან“ შედარებით.

აღნიშნულ მაღალხარისხოვანი პროდუქციით პირველ რიგში მარაგდება სამტრესტის საფირმო, „ოსობგასტრონომის“ და თბილვაჭრობის მაღაზიები.

მოქალაქე **ნინო გერასიმეს ასულმა პუგოვიშნიკოვა-ახტვაცატუროვამ** მცხოვრებმა კალინინის ქ. № 13, აღძრა საქმე მაგისტრალის ქ. № 24 მცხოვრებ მოქალაქე **ავეტიკ ალექსანდრეს-ძე კარაჯიკიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **არჩილ აკაკის-ძე მამფორიამ** მცხოვრებმა საგანაის ქ. № 7-ა, აღძრა საქმე ქ. ქუთაისში, ვაჟა ფშაველას მეორე შესახვევი № 9 მცხოვრებ მოქალაქე **გაიანე (ძაძუ) ბენედიქტეს ასულ გაბისონია-მამფორიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

ს. ვაჩეიშვილი, გ. ჩუბინიძე, ქ. ჯაში, ვ. დემურია, მ. კიწურაშვილი, ვ. გოგუაძე, ა. რუხაძე, ლ. ბუხრაშვილი, ვ. ჰელიძე, ვ. კახაია იუწყებიან **ელენე იოსების ასულ კავსაძის** გარდაცვალებას.

საქართველოს კოოპინკავშირის სისტემის არტელ „პიშჩეპრომკომბინატის“ თანამშრომლები იუწყებიან **ანდრო თევდორეს-ძე ბურჯანაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-III ობჩაში.

მეუღლე იულია შვილებით, დედა მარიამ, დები ნინო, თამარ ოჯახებით იუწყებიან **ვლადიმერ ილიას-ძე ჩიჩუას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-III, 7 ს. გამოსვენება 21-III, 3 ს. გრიბოედოვის, 7.

მშობლები იაკინთე, ეკატერინე, ძმები გრიშა, პავლე ოჯახებით იუწყებიან **დიმიტრი გელაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-III, 7 ს. ფიოლეტოვის, 12. გამოსვენება 21-III, 3 ს.

ტუფა და ქეთო, გრიშა, სონია ელენტები იუწყებიან, რომ 21-III, 2 ს. დანიშნულია **ნატალია ზურაბის ასულ ელენტის** პანაშვიდი.

დედა დაფინე, და ლენა, დეიდა ოლია, მაშადა ვარსენა, ივანე პარკაძე, ლონგინოზ მახარაძე ოჯახებით იუწყებიან **ციცინო ვასილის ასულ გოდელაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-III, 4 ს. გორში.

ტრესტ „საქჩაის“ თანამშრომლები იუწყებიან **ივანე გიორგაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-III ვაკიჯვარში (მახარაძის რ.).

შვილები ანა, ოლია, ექიმი ვერა ვახევევები, მიხეილ, შვილიშვილები ანასტასიადები იუწყებიან, რომ 21-III, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ნინო დიმიტრის ასულ ვახევევას** პანაშვიდი.

თბილისის ლ. ბ. ბოცვაძის სახელობის ქალთა მე-7 საშუალო სკოლის დირექცია და პედპერსონალი იუწყებიან **ელენე იოსების ასულ ცაკვავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-III სოხუმში.

მეუღლე ვლადიმერ, შვილები ლამარა და იზოლდა ხატიაშვილები იუწყებიან **მარიამ ნიკოლოზის ასულ ხატიაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-III, 6 ს. გამოსვენება 21-III, 4 ს. კამოს, 43

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხმდივნის—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგე გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000. უე 00975